

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 11 (298)
ნოემბერი
2021



2022

դրու՛մք
Դձօ-Տեղո բլո՛ւ!

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 11 (298)

ნოემბერი

2021



მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

მასალები გუგულტერმა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ვებგვერდიდან	3
პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად რუბრიკას უძღვება გაბი ალავერდაშვილი ACCA-ს საერთაშორისო/ინგლისური პროგრამის 2021 წლის სექტემბრის გამოცდის შედეგები	7
უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდული. გამოცდის ჩაბარების ტექნიკა	8
საბა ქაქაშია მცირე საწარმოებს არ აქვთ დრო და რესურსი იმისთვის, რომ უფრო ეკომეგობრულები გახდნენ	32
საჯარო ფინანსების მტკიცე და ძლიერი მენეჯმენტი აუცილებელია არსებული და მომავალი რისკების სამართავად	33
ოფიციალური მასალები	34
კითხვა-პასუხი	51
ინფორმაცია გირჟებიდან	57

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა
გადაეცა წარმოებას 9.11.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.11.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,75. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

საჯარო სექტორის მხარდაჭერა: როგორ ცვლიან ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები მსოფლიოს უკეთესობისკენ

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა საჯარო სექტორი განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა, ხოლო კრიზისის დასრულებას ჯერ ბოლო არ უჩანს. მთელ მსოფლიოში მრავალი ქვეყნის მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაწყებული ფედერალური დონით დამთავრებული, უკვე აწყდება ბიუჯეტების გარღვევის პრობლემას, რადგან ვაქცინაციის თავდაპირველი დადებითი ეფექტების მიუხედავად, პანდემია ისევ მძვინვარებს. ბევრს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მომსახურებისა და ეკონომიკის შესანარჩუნებლად და უშუალოდ მოქალაქეების მხარდასაჭერად ჯერ კიდევ აუცილებელია ამა თუ იმ ფორმით მთავრობის ზემოქმედება, მაგალითად, ფისკალური მასტიმულირებელი ზომების გატარება.

პანდემიით შექმნილ სირთულეს ემატება სხვა პრობლემებიც, როგორიცაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შეფერხებები და სხვა სახის სტიქიური უბედურებები, რომლებიც საჭიროებს მუდმივ სახელმწიფო ინვესტიციებს. გარდა ამისა, ასეთ საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების აუცილებლობამ არაეფექტურობა გამოავლინა არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც, სავარაუდოდ, უფრო საიმედო ინსტიტუციები და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა აქვთ.

როგორც 2021 წლის ივლისში IFAC-ის Knowledge Gateway-ზე გამოქვეყნებულ CAPA-ს (აზიისა და წყნარი ოკეანის ბუღალტერთა კონფედერაცია, შემდგომში CAPA) სტატიაში იყო ნათქვამი: „...ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური შედეგების მოსაგვარებლად სახელმწიფოს სწრაფი და ფართომასშტაბიანი ჩარევის აუცილებლობამ ... ეჭვქვეშ დააყენა მთავრობის შესაძლებლობები, მართოს რესურსები გამჭვირვალედ და სათანადო ანგარიშვალდებულების დაცვით და ეს მართო ჩვენი პრობლემა არ არის“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ყველას მოუწოდა სახელმწიფო ხარჯების „მოფრთხილებისკენ“, ხოლო ზოგიერთი სამოქალაქო ჯგუფი მოითხოვდა ინფორმაციის გასაჯაროებას. საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აუდიტორულ ორგანიზაციებსა და მარეგულირებლებს მოუწოდებს რეალური დროის მიხედვით მოქმედებას. ახალი არ არის დაინტერესებული მხარეების მოწოდება სახელმწიფო ფინანსების მართვის გაძლიერებისა და გამკაცრებისკენ, მით უფრო ასეთ დროს, როდესაც ისევ იჩინა თავი სახელმწიფოს დახმარების გადაუდებელმა აუცილებლობამ, რადგან სისტემის ნებისმიერი ხარვეზი, თუ არ მოგვარდება, შორსმავალ და, სავარაუდოდ, გრძელვადიან სოციალურ შედეგებს მოუტანს საზოგადოებას.

საჯარო სექტორის მართვა

CAPA დიდი ხანია მხარს უჭერს სახელმწიფო ფინანსების მაღალხარისხიანი მართვის მნიშვნელობას. ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ელემენტის ხაზგასასმელად, რომელიც CAPA-ს მისიის ნაწილია, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა ბოლო ათწლეულის

განმავლობაში იყო ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებში საჯარო სექტორზე ორიენტირებული ინტელექტუალური მართვის განვითარებაზე ფოკუსირება.

ამის საფუძველია იმის აღიარება, რომ ჩვენ, როგორც პროფესიას, საჭირო ცვლილებების განხორციელებით, შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ და ხელი შევუწყოთ საჯარო ფინანსების მართვის ძლიერ ოპტიმიზაციას. უკანა რიგებში დგომა არჩევანი არ არის.

CAPA-მ 2019 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი „ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები – ურთიერთქმედება საჯარო სექტორთან“, სადაც განხილული იყო საჯარო სექტორთან ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციების ამჟამინდელი ურთიერთქმედების ხასიათი და მასშტაბი და CAPA მოუწოდებდა მათ ჩართულობის დონის შემდგომი ზრდისკენ. დოკუმენტში აღნიშნული იყო: მართალია, პრობლემებისა და გამოწვევების გაცნობიერება მნიშვნელოვანია, მაგრამ გაუმჯობესებისა და წარმატების მისაღწევად საჭიროა გადაწყვეტილებები და მოქმედება.

შესაბამისად, 2021 წლის ივნისში CAPA-მ გამოაქვეყნა ახალი დოკუმენტი: „ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები – საქმიანობის გაფართოება საჯარო სექტორში“, სადაც აღწერილი იყო ის აქტივობები და მათი მასშტაბი, რომელთა განხორციელება ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ „მიწოდების შექმნის“, „მოთხოვნის ზრდის“, „შესაძლებლობების შექმნისა“ და „უნარების განვითარების/კვალიფიკაციის ამაღლების“ ხელშეწყობის მიზნით.

მაგალითები პრაქტიკიდან

ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, ჩაერთონ საჯარო სექტორში, მათ შორის, მოიზიდონ ახალი წევრები, რომლებსაც სურთ საჯარო სექტორში მუშაობა ან დაეხმარონ იმ ბუღალტრებს, რომლებიც უკვე მუშაობენ საჯარო სექტორში, მოითხოვს ძალისხმევას და ინვესტიციებს. ზოგიერთი აქტივობა სხვაზე მეტ ძალისხმევას საჭიროებს და CAPA-მ ამ დინამიკის გამოკვლევა წარმოადგინა 2021 წლის ივნისის პუბლიკაციაში, რომელიც მოიცავს 16 ქვეყნის დაახლოებით 22 ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის თითქმის 90 მაგალითს.

გარდა ამისა, CAPA ამზადებს მთელ რიგი პრაქტიკული მაგალითების თემატურ გამოკვლევას, სადაც უფრო დეტალურად არის განხილული უამრავი უაღრესად სტრატეგიული მნიშვნელობის ინიციატივა. აღნიშნულ კვლევაში განხილულია არა მხოლოდ ის იდეები, რომელთა რეალიზებაც ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ, არამედ ის ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უწყობს მათ წარმატებას, ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი რჩევები ბუღალტერთა სხვა პროფესიული ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც მოესურვებათ ამ საქმიანობაში ჩართვა. ბოლოს აღწერილია ამგვარი ქმედების უაღრესად მნიშვნელოვანი სარგებელი ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციებისა და შესაბამისი ქვეყნებისთვის.

მე-3 მაგალითი: კანადის მაგალითი ყველაზე ახალია და ახლახან გამოქვეყნდა. კანადის ნაფიკ პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის (CPA Canada) მიერ ერთ-ერთ წევრთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიმუშავა კანადის ბუღალტერთა ეროვნულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ საჯარო სექტორისთვის სერტიფიცირების ორი პროგრამა: საჯარო სექტორის სერტიფიკატი და ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. ეს პროგრამები ხელს უწყობს „უნარების

განვითარებასა და სრულყოფას“ და კარგად „გაწვრთნილი“, მაღალკვალიფიციური ფინანსისტა კადრების „რესურსის“ /„მიწოდების“ შექმნას, რათა კანადის სხვადასხვა დონის მთავრობებმა უფრო უკეთ შეძლონ საჯარო ფინანსების მართვის სფეროში დასახული გეგმების შესრულება.

მთავრობასთან არსებული ნიჭიერი სპეციალისტების საკადრო რეზერვი მისი ერთ-ერთი უდიდესი აქტივია. თანამედროვე ხელისუფლებისთვის საჭირო, სათანადო დონისა და ტიპის უნარების ჩამოსაყალიბებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების აუცილებლობა. CPA კანადის საჯარო სექტორის საგანმანათლებლო პროგრამები ორივე ზემოაღნიშნულ მიმართულებას მოიცავს – უნარ-ჩვევების ათვისება, კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, საჭიროებისამებრ.

მე-2 მაგალითი: მაღალიზის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ თანამშრომლობდა მაღალიზის ბუღალტერთა ინსტიტუტი მთავრობასთან, საჯარო სექტორში დარიცხვის მეთოდის დანერგვის საკითხებში და ამით როგორ გააძლიერა ამ სექტორში მომუშავე ბუღალტერთა ჯგუფი.

დარიცხვის მეთოდის დანერგვის გადაწყვეტილება მარტივად არ აღიქმება არცერთ ქვეყანაში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისა და გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო სექტორის ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ნაფიცი ინსტიტუტის (CIPFA) 2021 წლის ანგარიშიდან „საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშვალდებულების საერთაშორისო ინდექსი“ ვიცით, რომ 2020 წელს დარიცხვის მეთოდით აღრიცხვას იყენებდნენ იურისდიქციების 30%-ში. მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2025 წლისთვის 50%-მდე, ხოლო 2030 წლისთვის 73%-მდე გაიზრდება.

მართალია, ინდექსიდან ჩანს მომდევნო 10 წლის განმავლობაში საკასო მეთოდით აღრიცხვიდან დარიცხვის მეთოდზე მნიშვნელოვანი გადასვლის პოზიტიური ტენდენცია, მაგრამ ამ კუთხით მაინც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ რეფორმის მხარდაჭერა და მასზე გავლენის მოხდენა, მაგრამ ისინი მზად უნდა იყვნენ ასევე მხარდაჭერის აღმოსაჩენად იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამგვარი სისტემების დანერგვისა და მართვის დროს გაჩნდება ფინანსების სფეროს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნა.

1-ლი მაგალითი: ინდოეთის მაგალითში აღწერილია CAPA-ს ორი წევრის, ინდოეთის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტისა და მმართველობითი აღრიცხვის ბუღალტერთა ინსტიტუტის მონაწილეობა ინდოეთის რკინიგზის ერთ-ერთ მსხვილ პროექტში, რომელიც მიმართული იყო:

- როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდზე გადასვლაზე, ისე
- დანახარჯების აღრიცხვის მისი სისტემის გაუმჯობესებაზე, გადაწყვეტილებების მისაღებად ორგანიზაციისთვის უკეთესი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ინდოეთის რკინიგზა უზარმაზარი სატრანსპორტო ქსელი და ორგანიზაციაა და სხვა სუბიექტები მის კვალს მიჰყვებიან ინდოეთის საჯარო სექტორის უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმების ფარგლებში. ამ თავდაპირველი პროექტის მეშვეობით ბუღალტერთა პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს, მოკლევადიანი შესაძლებლობები მიეცათ თავიანთი წევრებისთვის პროექტისთვის დახმარების აღმოსაჩენად, კონსულტაციებისა და სხვა ტიპის მომსახურების გაწევით. ხელისუფლების თვალში მნიშვნელოვნად ამაღლდა ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციების რეპუტაცია.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა ინდოეთის რკინიგზა, დასჭირდებათ მაღალკვალიფიციური პერსონალი ფინანსების სფეროში, ასევე აუდიტორებიც და შესაძლებელია, რომ ბუღალტრის პროფესიისთვის გამოჩნდეს ახალი შესაძლებლობები რთულ და სწრაფად ცვალებად გარემოში სხვა ტიპის საკონსულტაციო და მმართველობითი ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც ორიენტირებული იქნება ეფექტიანობასა და პროდუქტიულობაზე.

ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მსოფლიოს შემვლა უკეთესობისკენ

თუკი არსებობს ისეთი რამ, რაც პანდემიამ და სხვა შეფერხებებმა გვასწავლა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ეს, პირველ რიგში, არის იმის გაცნობიერება, რომ შესაძლოა კრიზისები კიდევ განმეორდეს ან თავი იჩინოს სხვა ფორმებით. საჯარო სექტორი კვლავაც იქნება ზეწოლის ქვეშ, ამ კრიზისებზე უშუალო რეაგირების ან მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის საჭიროების გამო. აშკარა გახდა, რომ საჯარო სექტორის სტრუქტურებში ან/და სისტემებში არსებული ფუნდამენტური სისუსტეები/ხარვეზები სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კვლავ იჩენს თავს.

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, რომ ბევრ დაინტერესებულ მხარესთან „პარტნიორობას“ არსებითი მნიშვნელობა აქვს უკეთესი შედეგების მისაღწევად და ერთ-ერთი ყველაზე აშკარა „პარტნიორული“ როლი, რომლის შესრულება პროფესიას კარგად შეუძლია, არის მხარდაჭერისა და დახმარების გაგრძელება საჯარო ფინანსების მაღალ დონეზე მართვის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ვერც განვითარებადი და ვერც განვითარებული იურისდიქციების ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციები ვერ უგულებელყოფენ თავიანთ როლს ამ საქმეში. ამიტომ მათ მაგალითი უნდა აიღონ CAPA-ის მიერ გამოკვლეული შემთხვევებიდან, ასევე ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციების მიერ გაზიარებული პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან და სერიოზულად იმსჯელონ იმის თაობაზე, კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას შემდგომში საჯარო სექტორის მხარდასაჭერად თავიანთ ქვეყნებში.

ბრაიან ბლადი

2021 წლის 18 ოქტომბერი IFAC

ACCA-ს საერთაშორისო/ინგლისური პროგრამის 2021 წლის სექტემბრის გამოცდის შედეგები

კოვიდ-19-ის გამო მიმდინარე შეფერხების მიუხედავად, 93,600-ზე მეტი სტუდენტი გავიდა 2021 წლის ACCA-ს საერთაშორისო/ინგლისური პროგრამის სექტემბრის გამოცდაზე. სულ 3222-მა სტუდენტმა დაასრულა ყველა გამოცდა და გახდა ACCA-ის წევრი.

როგორც ალან ჰეტფილდმა, ACCA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, შინაარსის, ხარისხისა და ინოვაციის დარგში, განაცხადა: „ACCA კმაყოფილია ამ ბოლო გამოცდის შედეგებით. გლობალურად, 2021 წლის სექტემბრის სესიაზე სტუდენტების 99.9%-ზე მეტმა ჩააბარა კომპიუტერზე დაფუძნებული გამოცდები. დისტანციურად კონტროლირებადი კომპიუტერზე დაფუძნებული გამოცდები ამჟამად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის შერჩეულ ადგილებში, სადაც ცენტრში დაფუძნებული გამოცდების სესიები შეფერხებულია. სტუდენტებს შეუძლიათ გამოცდების ჩაბარება მხოლოდ ისეთ ცენტრებში, სადაც ეს უსაფრთხო და მიზანშეწონილია.”.

ალან ჰეტფილდის თქმით: „სტუდენტებს ეხმარებიან რამდენიმე გზით, მათ შორის, ვებინარებსა და პოდკასტებზე წვდომით ექსპერტ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ხაზს უსვამენ მნიშვნელოვან საგამოცდო ტექნიკას და წარმატების მიღწევისათვის რჩევებს. ჩვენ ვხედავთ გაუმჯობესებას იმ სტუდენტებში, რომლებიც ესწრებიან ACCA-ს დამტკიცებულ სასწავლო პროვაიდერებს, ACCA-ს მრავალ დამხმარე ონლაინ რესურსებთან ერთად. ამ გაურკვეველ დროში ჩვენ გვჯერა, რომ ინოვაციური განვითარება და მხარდაჭერა დაეხმარება სტუდენტებს ACCA-ს გზაზე წინსვლაში, გახდნენ პროფესიონალურად კვალიფიციური ბუღალტრები“.

ინდივიდუალური გამოცდის ჩაბარების პროცენტული მონაცემები მსოფლიოს მასშტაბით.

გამოყენებითი ცოდნა

ბიზნესი და ტექნოლოგია (ბტ)	83%
მმართველობითი აღრიცხვა (მა)	66%
ფინანსური აღრიცხვა (ფა)	70%

გამოყენებითი უნარები

კორპორატიული და ბიზნეს სამართალი (სმ)	85%
საქმიანობის შედეგების მართვა (სშმ)	37%
საგადასახადო დაბეგვრა (სდ)	52%

ფინანსური ანგარიშგება (ფან)	48%
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (ამმ)	39%
ფინანსური მართვა (ფმ)	52%

სტრატეგიული პროფესიონალი – საგანმანათლებლო

სტრატეგიული ბიზნეს ლიდერი (სბლ)	51%
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება (სსა)	48%

სტრატეგიული პროფესიონალი – შერჩევითი

უმაღლესი ფინანსური მართვა (უფმ)	37%
საქმიანობის შედეგების უმაღლესი მართვა (სშუმ)	30%
უმაღლესი საგანმანათლებლო დაბეგვრა (უსდ)	36%
უმაღლესი აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უამმ)	34%



უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდული ბამოცდის ჩაბარების თემატიკა

გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის გამოცდის შემფასებელი

შესავალი

მე ვარ საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც შეაფასებს უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის გამოცდის შედეგებს. ეს სტატია იმისთვისაა განკუთვნილი, რომ თქვენ, კანდიდატებს, გაგაცნოთ ჩემი მოსაზრებები გამოცდის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა უკეთ გაიგოთ, რას უყურებს, რას ითვალისწინებს შემფასებელი უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის საგამოცდო ნაწერების შეფასებისას.

როგორ აზროვნებს შემფასებელი - იმის ცოდნა, რომ ჩვენ შემფასებლები გავდივართ ტრენინგს და გვასწავლიან იმის ძებნას, რას უნდა მივაკუთვნოთ ქულები და რას და რის გამო არ უნდა მივაკუთვნოთ - დაგეხმარებათ თქვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში და აუცილებელი ქულების მიღებაში. გარდა ამისა, ეს დაგეხმარებათ ისეთი საკითხების/მოსაზრებების/კომენტარების განსაზღვრაში, რისთვისაც ქულებს მიიღებთ და, მაშასადამე, თქვენ თვითონ უკეთ შეაფასებთ თქვენს პასუხებს, როდესაც ემზადებით გამოცდისთვის და ვარჯიშობთ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

ამ სტატიაში განსახილველად გამოვიყენებთ კანდიდატების ორი კატეგორიის პასუხებს, რომლებიც შერჩეულია 2018 წლის მარტისა და 2018 წლის ივნისის საგამოცდო მასალიდან. სტატიის წაკითხვისას აუცილებლად უნდა გაეცნოთ 1-ელ დანართს, რომელიც მოცემულია სტატიის ბოლოს.

მე-3 კითხვა

მესამე კითხვაში გამოყენებულია მოთხოვნის ძალიან ტიპური სტილი, კერძოდ „შეაფასეთ... საკითხები და მათი გავლენა“. აქ ყურადღება გამახვილებულია ხარისხის კონტროლზე, მაგრამ სხვა კითხვაში შეიძლება აქცენტი გადატანილი იყოს ეთიკის და სხვა პროფესიულ საკითხებზე. თქვენ გთხოვენ დამატებითი ქმედებებისა და ასევე იმ საკითხების განსაზღვრას, რომელთა შესახებაც უნდა აცნობოთ ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. საგამოცდო კომისიის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ პროფესიული და ეთიკური საკითხები, მათ შორის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებულ, უმაღლესი დონის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი ნაწილია და ამ საკითხების ცოდნას რეგულარულად ამოწმებს გამომცდელი გამოცდაზე.

პროფესიული და ეთიკური საკითხები, მათ შორის ხარისხის კონტროლი სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი ნაწილია.

შეაფასეთ ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გავლენა აუდიტის დასრულებაზე, მათ შორის განსაზღვრეთ, რა დამატებითი ზომები უნდა გაატაროს თქვენმა აუდიტორულმა ფირმამ. პასუხში უნდა გაითვალისწინოთ ის საკითხები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს Davis Co-ს აუდიტთან დაკავშირებით.

20 ქულა

მოთხოვნებთან დაკავშირებული შენიშვნები

ქულები განაწილებული იყო 4 სხვადასხვა საკითხზე:

(i) ნაწილის 4 ქულა ეხებოდა სავაჭრო ვალდებულებების აუდიტის შესახებ გამოტანილ დასკვნას.

(ii) ნაწილის 6 ქულა ეხებოდა მცირე სალაროს ოპერაციების მიმოხილვისას გამოვლენილ პრობლემებს..

(iii) ნაწილის 6 ქულა ეხებოდა ამონაგებთან დაკავშირებით ჩატარებული დროში გამოქვინის ტესტირების შედეგებს.

(iv) ნაწილის 4 ქულა ეხებოდა დამკვეთის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ აუდიტორის ასისტენტი დახმარებოდა კომპანიას საგადასახადო ვალდებულების გამოთვლაში.

ამ ტიპის მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც წესი, თითოეული საკითხის/გავლენის შეფასებისთვის განკუთვნილია მაქსიმუმ 1,5 ქულამდე და თითო ქულა - თითო საკითხისთვის, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. როგორც შეფასების სქემიდან ვხედავთ, ქულების დიდი ნაწილი განკუთვნილია სცენართან დაკავშირებული საკითხების/პასუხებისთვის.

ამგვარი მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ კარგ პასუხში **გამოვლენილი** უნდა იყოს ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები, **ახსნილი** უნდა იყოს მათი გავლენა აუდიტის დასრულებაზე და **განსაზღვრული/აღწერილი** უნდა იყოს დამატებითი ზომები, რომლებიც ფირმამ უნდა გაატაროს. აქვე უნდა იყოს ახსნილი, **რომელი** საკითხების შესახებ უნდა ეცნობოს, **რატომ და ვის**.

თუ დააკვირდებით პასუხებს, რომლებსაც ამ სტატიაში ქულები აქვს მიკუთვნებული, მიხედვით, რომ ამგვარ კითხვებზე ქულის მიღება შეუძლებელია მხოლოდ თეორიაში ნასწავლი საკითხების ჩამოთვლით, პირდაპირ გამეორებით. თუმცა, ეს ცოდნა გჭირდებათ, მაგრამ აუცილებლად უნდა მიუსადაგოთ სცენარში აღწერილ სიტუაციებს.

ქულების დიდი ნაწილი განკუთვნილია უშუალოდ სცენართან დაკავშირებული პასუხებისთვის.

2018 წ. მარტი/ივნისის გამოცდის პასუხების შეფასება

ქულები

შენიშვნა

მე-3 კითხვა - 1-ლი კანდიდატის პასუხი

(i)

აუდიტის გუნდის დასკვნა იმის თაობაზე, რომ შესყიდვებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურები საკმარისი არ არის და აუცილებელია დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება.

1

← შენიშვნა 1

ვინაიდან შესყიდვების შეკვეთებს არ ამტკიცებს შესყიდვების მენეჯერი, კონტროლის ეს პროცედურა არ მუშაობს ისე ეფექტურად, როგორც ჩაფიქრებული იყო.

1/2

← შენიშვნა 2

მაშასადამე, აუდიტის გუნდი ვერ დაეყრდნობა კონტროლის ტესტებს. ძირითადი ტესტირების მასშტაბი უნდა გაფართოვდეს.

1

← შენიშვნა 3

ჩვენ შეგვიძლია კომპიუტერული პროგრამის გამოყენება შესყიდვების შეკვეთებისგან შერჩევითი ერთობლიობის შესარჩევად, უფრო დეტალური შემოწმებისთვის, რათა მოვიპოვოთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები.

0

← შენიშვნა 4

შესყიდვების მენეჯერი არ ამტკიცებს შესყიდვების შეკვეთას. ხომ არ არსებობს რაიმე ნიშნები თაღლითობის, ან შესყიდვების მენეჯერისა და იმ თანამშრომელთა შეთქმულების, რომლებმაც გააფორმეს შესყიდვების შეკვეთები ან თანამშრომელთა თაღლითობის იმ დროს, როდესაც შესყიდვების მენეჯერი შევბუღებაში იყო?

0

← შენიშვნა 5

ელემენტების ძირითადი პროცედურების ჩატარების შედეგად დასკვნის გამოტანის შემდეგ აუდიტის გუნდმა უნდა აცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს იმ შეზღუდვაზე, სადაც განიხილავენ შესყიდვების დამტკიცებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს, დამტკიცების პროცედურის უგულებელყოფის მნიშვნელობას და რეკომენდაციას.

1

← შენიშვნა 6

სულ - ნაწილი (i):

3 1/4

(ii)

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს აუდიტორის ასისტენტსა და მცირე სალაროს მოღარეს შორის, ვინაიდან მოღარე აუდიტის ასისტენტის ძმია.

0

← შენიშვნა 7

არსებობის მიუხედავად, აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში, სადაც ასახულია მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ფაქტები, უნდა აისახოს \$175 ტაქსით მგზავრობისა და სხვა არაკომერციული მიზნებით მგზავრობისთვის გადახდილი თანხა.

1/2

← შენიშვნა 8

უფრო მნიშვნელოვანია, გაფართოვდეს ძირითადი ტესტი, რომელიც ტარდება მცირე სალაროს ხარჯების პირველად დოკუმენტებზე. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა უნდა გაიზარდოს, ვინაიდან არსებობს თაღლითობისა და ხარჯის უკანონოდ მითვისების ნიშნები.

0

← შენიშვნა 9

უნდა ჩატარდეს შემდეგი დამატებითი აუდიტორული პროცედურები:

- მცირე სალაროს წიგნის მოპოვება 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით.

- იმის შემოწმება, მცირე სალაროს თანხებს ითვლიან თუ არა თვის ბოლოს, დოკუმენტს ხელს აწერს თუ არა მცირე სალაროს მოღარე და იხილავს და ამტკიცებს თუ არა მას ფინანსური დირექტორი.

- მცირე სალაროს წიგნში ნაჩვენები საბოლოო ნაშთის შეჯერება ფაქტობრივ ნაშთთან.

0

← შენიშვნა 10

- ხარჯების ტიპების შესახებ მცირე სალაროს წიგნში ასახული ინფორმაციის შემოწმება, თუ აუდიტორი აღმოაჩენს რაიმე უჩვეულო ოპერაციას.

საკითხი, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს:

0

← შენიშვნა 11

- უნდა გაუმჯობესდეს მცირე სალაროსთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმები.

1/2

← შენიშვნა 12

ყოველდღე უნდა ხდებოდეს საქვეანგარიშო (მცირე სალაროს) თანხების მონაცემების განახლება სალაროს წიგნში, ფულის დათვლა და შედეგების დამტკიცება ფინანსური დირექტორის მიერ.

0

← შენიშვნა 13

სულ - ნაწილი (ii):
1/6

(iii)

არსებობს დროში გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამონაგები არასწორ პერიოდში აღიარდა.

1/2

← შენიშვნა 14

ტესტირების შედეგის მიხედვით ეს არ არის საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებისთვის.

1/2

← შენიშვნა 15

შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა უნდა გაიზარდოს საქონლის გასავლის ზედდებულებით და მომხმარებლებისთვის 2017 წლის 30 ნოემბრის წინ და შემდეგ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურებით.

1

← შენიშვნა 16

ჩვენ უნდა მოვიპოვოთ \$17,880-ის ღირებულების მთლიანი გაყიდვების შემადგენელი ელემენტების შესახებ ინფორმაცია, რათა დავადგინოთ ანგარიშ-ფაქტურის ნომერი, საქონლის გასავლის ზედდებულები და დავადასტუროთ, რომ დროში გამიჯვნა სწორად განხორციელდა და ამონაგები სწორად არის აღრიცხული.

0

← შენიშვნა 17

სულ - ნაწილი (iii):
2/6

(iv)

2017 წ. 30 ნოემბერს დასრულებული წლისთვის გადასახადის გამოთვლა ფინანსური დირექტორის პასუხისმგებლობაა.

1/2

← შენიშვნა 18

მან არ უნდა სთხოვოს აუდიტორის ასისტენტს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების გამოთვლა.

0

← შენიშვნა 19

თუ აუდიტორის ასისტენტი დაეთანხმება ამ თხოვნას, შეიქმნება პირადი ანგარების საფრთხე, ვინაიდან აუდიტორის ასისტენტი საკუთარ სამუშაოს განიხილავს და არ მოუნდება რაიმე შეცდომის ან ხარვეზის გამოვლენა გადასახადის გამოთვლების სამუშაო დოკუმენტში.

1

← შენიშვნა 20

სულ - ნაწილი (iv):
1 1/2/4

სულ
მე-3
კითხვა
8/20

შენიშვნები მე-3 კითხვაზე 1-ლი კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ

1-ლი შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით აუდიტის გუნდის მიერ გამოტანილი დასკვნის შეფასებისა და დამატებითი ქმედების საჭიროების (გავლენის) განსაზღვრისთვის.

მე-2 შენიშვნა

ქულა მიკუთვნება იმის ახსნაზე, რას ნიშნავს მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ფაქტი.

მე-3 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია კანდიდატის მიერ გამოტანილი დასკვნისთვის და შემდგომი ქმედების განსაზღვრისთვის.

მე-4 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის, ვინაიდან ეს არ არის შესაფერისი „დამატებითი ქმედება“, რადგან სცენარში ნათლად არის მითითებული, რომ აუდიტი „სადაცაა დასრულდება“.

მე-5 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის, რადგან ეს ეწინააღმდეგება სცენარს, სადაც აშკარადაა ნათქვამი, რომ „ეს იყო ლეგიტიმური შესყიდვები“.

მე-6 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია კონკრეტული ინფორმაციის განსაზღვრისთვის, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს.

მე-7 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან ეს არ არის, რასაც აღნიშნავს „ინტერესთა კონფლიქტი“ და პასუხში მითითებული არ არის ფაქტობრივი ურთიერთობის საფრთხე.

მე-8 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, რომ დოკუმენტაციაში უნდა აისახოს გამოვლენილი ფაქტი, თუნდაც საკითხი არ იყოს არსებითი.

მე-9 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან (ა) საკითხი არ არის არსებითი, (ბ) ხელმძღვანელობას ევალება დამატებითი გამოკვლევის ჩატარება და (გ) ამის გაკეთება ძალიან დაგვიანებულია ამ აუდიტში (იხ. მე-4 შენიშვნა).

მე-10 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან დამატებითი ქმედებებში გათვალისწინებული არ უნდა ყოფილიყო დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება აშკარად არაარსებით საკითხთან დაკავშირებით.

მე-11 შენიშვნა

ქულები არ არის მიკუთვნებული, რადგან ასეთი ტრივიალური საკითხის შესახებ არ უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. კითხვის მოთხოვნაში აშკარადაა მითითებული, რომ უნდა გააცალკევოთ

ერთმანეთისგან ხელმძღვანელობისთვის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია (საკითხები).

მე-12 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, რომ არსებობს საკითხი, რომლის შესახებაც საჭიროა ინფორმირება.

მე-13 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან ეს არ არის შესაფერისი რეკომენდაცია. პრაქტიკულად შეუძლებელია საქვეანგარიშო (მცირე სალაროს) თანხების ყოველდღიურად დათვლა და არაარსებით თანხასთან დაკავშირებულ ასეთ უმნიშვნელო დავალებაში ისეთი მაღალი რანგის პირის ყოველდღიური მონაწილეობა, როგორცაა ფინანსური დირექტორი. კანდიდატმა აჩვენა, რომ არ ესმის დანახარჯების ეკონომიის მნიშვნელობა კონტროლის მექანიზმების დანერგვის კონტექსტში.

მე-14 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემის გამოვლენაზე.

მე-15 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემის გამოვლენაზე.

მე-16 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია შესაფერისი შემდგომი/დამატებითი ქმედების განსაზღვრაზე.

მე-17 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან ეს არ არის შემდგომი ქმედება. ეს საკითხი უკვე დოკუმენტირებულია, ვინაიდან ეს არის დროში გამიჯვნის შეცდომა (ამონაგები სწორად არ იყო აღრიცხული).

მე-18 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია შესაფერისი ფაქტის გამოვლენაზე, რომელიც პრობლემას წარმოშობს.

მე-19 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის, რადგან არცერთი მიზეზი არაა მითითებული მოსაზრების გასამყარებლად.

მე-20 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ხელმძღვანელობის მოთხოვნის გავლენის ახსნაზე.

მესამე კითხვაზე 1-ლი კანდიდატის შეფასება არის 8/20.

სულ

8/20

მე-3 კითხვა - მეორე კანდიდატის პასუხი

(i) შესყიდვების შეკვეთები

ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ შიდა კონტროლს ნაკლოვანება აქვს, რამაც შეიძლება არსებითი უზუსტობა გამოიწვიოს. თუ ამის გაკეთება ადვილად შეუძლია პერსონალს, ამან შეიძლება სისტემაში გამოიწვიოს შეცდომები ან განზრახ ჩადენილი ბოროტქმედება.

ქულები

შენიშვნა

1

← შენიშვნა 1

ამ სფეროში უნდა არსებობდეს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და პროცედურები, რათა ამის მოხდენა „არ იყოს შესაძლებელი“.

0

← შენიშვნა 2

აუდიტის გუნდმა უნდა გაზარდოს შერჩევის დიაპაზონი და ამის შედეგად შეიძლება უფრო მეტი შეცდომა გამოვლინდეს. მათ ასევე უნდა შეამოწმონ სისტემის სხვა ნაწილებიც, რათა დარწმუნდნენ, რომ ასეთი რამ სხვაგანაც არ მეორდება.

1

← შენიშვნა 3

უფროსმა აუდიტორმა ნაკლოვანებების შესახებ უნდა აცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, კერძოდ აუდიტის კომიტეტს, რათა უზრუნველყოს, რომ ასეთი შემთხვევები არ მეორდებოდეს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს შეიძლება გადაიქცეს თაღლითობის რისკად.

1

← შენიშვნა 4

**სულ - ნაწილი (i):
3/4**

(ii) მცირე სალარო

კომპანიის დირექტორებს ევალებათ თაღლითობის ან შეცდომის თავიდან აცილება, ქმედითი შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებით. აუდიტორის პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ უნდა დარწმუნდეს, ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

1

← შენიშვნა 5

ვინაიდან ეს თანხა არ არის არსებითი, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ შეიძლება ამ საკითხის იგნორირება. თუმცა, ვინაიდან აუდიტორისთვის ცნობილი გახდა თაღლითობის შესახებ, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას, იმის მიუხედავად, თანხა არსებითია თუ არა, რათა მათ გაატარონ სათანადო ზომები.

1

← შენიშვნა 6

თუ ხელმძღვანელობის მიმართ ეჭვი არსებობს, მაშინ ამის შესახებ უნდა აცნობოს აუდიტის კომიტეტს.

0

← შენიშვნა 7

გარდა ამისა, ფამილიარული ურთიერთობის საფრთხეა წარმოქმნილი, ვინაიდან აუდიტის გუნდის ერთ-ერთი წევრი დაკავშირებულია მცირე სალაროს მოღვაწესთან. საფრთხე რეალიზებული იქნებოდა, თუ თაღლითობა გამოვლინდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმირება არ განხორციელდებოდა.

1

← შენიშვნა 8

აუდიტორის ასისტენტმა უნდა იცოდეს ეთიკის კოდექსი და ნებისმიერი საჭირო დამცავი ზომები, რომელთა გატარებაც აუცილებელი იქნება.

0

← შენიშვნა 9

**სულ - ნაწილი (ii):
3/6**

(iii) დროში გამიჯვნის ტესტირება

ეს თანხა მაშინ უნდა აღიარდეს, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება შესრულებდა, ვინაიდან არასწორი იქნებოდა მათი აღიარება მოცემულ ფინანსურ წელს.

1

← შენიშვნა 10

ინდივიდუალურად, ეს არის ამონაგების 0.29%, მაშასადამე, არაარსებითად მიიჩნევა და გავლენას არ იქონიებს აუდიტორის მოსაზრებაზე.

1

← შენიშვნა 11

თუმცა, ვინაიდან ეს ცნობილი გახდა აუდიტორისთვის, მან მაინც უნდა სთხოვოს ხელმძღვანელობას ციფრების შეცვლა.

1

← შენიშვნა 12

კომპანიაში აშკარა პრობლემა არსებობს ამონაგების აღიარების მეთოდთან დაკავშირებით, მაშასადამე, აუდიტორმა დამატებითი ტესტები უნდა ჩაატაროს ამონაგებზე.

1

← შენიშვნა 13

დამატებითი ტესტების ჩატარებისას შეიძლება გამოვლინდეს, რომ ეს შემთხვევა ხშირად მეორდება აქ და ეს მუხლები აგრეგირებულად შეიძლება არსებითი იყოს. თუ ასეა, ეს გავლენას იქონიებს არსებითობაზე და, ამგვარად, აუდიტორის მოსაზრებაზეც.

0

← შენიშვნა 14

**სულ - ნაწილი (iii):
4/6**

(iv) გადასახადის გამოთვლა

აუდიტორისთვის ეტიკური არ არის, რომ შეასრულოს გადასახადის გამოთვლა, ვინაიდან ეს გამოიწვევს თავდაჯერებულობის საფრთხეს. ეს არასდროს არის ნებადართული, ვინაიდან თქვენ ნაკლებად კრიტიკულად შეხედავთ საკუთარ სამუშაოს.

1

← შენიშვნა 15

როგორც უმაღლესი რანგის და ფინანსისტთა გუნდის ხელმძღვანელი ლესლი უნდა დაეუფლოს თავისი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელ უნარებს და კომპეტენციას - ეს არის კორპორაციული მართვის კოდექსის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი.

0

← შენიშვნა 16

აუდიტზე გავლენის თვალსაზრისით, აუდიტორს დასჭირდება გადასახადის არსებითობის შეფასება, სანამ მოსაზრებას ჩამოაყალიბებს. როგორც მოგების მიმართ ფიქსირებული პროცენტი, მოსალოდნელია, რომ ეს თანხა არსებითი იქნება.

0

← შენიშვნა 17

მაშასადამე, აუდიტორმა ლესლის უნდა სთხოვოს, რომ მიაწოდოს ეს ინფორმაცია, რადგან თუ ასე არ მოიქცევა, შეიძლება ისინი იძულებული გახდნენ, რომ გასცენ პირობითი მოსაზრება ან უარი განაცხადონ მოსაზრების გამოთქმაზე იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ამ საკითხზე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება.

0

← შენიშვნა 18

გარდა ამისა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ფინანსურ დირექტორს არ გააჩნია აუცილებელი კომპეტენცია.

1

← შენიშვნა 19

შესაძლებელია, ამ მოთხოვნის შედეგად ფინანსურმა დირექტორმა დააშინოს აუდიტორის ასისტენტი. თუ ამგვარი შანტაჟის საფრთხე შეიქმნება, განსახილველი იქნება გარიგებიდან გამოსვლის შესაძლებლობის საკითხი.

0

← შენიშვნა 20

**სულ - ნაწილი (iv):
2/4**

**სულ
მე-3
კითხვა
12/20**

შენიშვნები მე-3 კითხვაზე მე-2 კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ

1-ლი შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმაზე, რომ გამოვლენილი და ახსნილი იყო აღმოჩენილ ფაქტებთან დაკავშირებულ დასკვნაში გასათვალისწინებელი საკითხები.

მე-2 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის, რადგან პასუხი ძალიან გაურკვეველია. შეუძლებელია იმის მიხედვით, ეს შემდგომი ქმედება არის თუ საკითხი, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. გარდა ამისა, ვერც ერთი კონტროლის მექანიზმი ვერ იქნება ისეთი კარგი, რომ უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ ეს „არ იყოს შესაძლებელი“.

მე-3 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემის გამოვლენაზე შესყიდვების სისტემის აუდიტის ჩატარებისას.

მე-4 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის განსაზღვრაზე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს, რატომ და ვის.

მე-5 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ხელმძღვანელობისა და აუდიტორის შედარებით პასუხისმგებლობების მითითებაზე. რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული.

მე-6 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმ საკითხის განსაზღვრაზე, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი არ იყო არსებითი.

მე-7 შენიშვნა

ქულები მიკუთვნებული არ არის პირდაპირ „სახელმძღვანელოდან“ გადმოტანილ კომენტარზე, რადგან სცენარში მოიაზრება მხოლოდ მცირე საღაროს მოღარე.

მე-8 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ფამილიარული ურთიერთობის საფრთხის გამოვლენაზე.

მე-9 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის ამ კომენტარზე, რადგან ძალიან გაუგებარია. მაგ.: აქ ნახსენები არ არის ეთიკის კონკრეტული ძირითადი პრინციპი (მაგ.: ობიექტურობის არარსებობა) ან კონკრეტულად რომელი დამცავი ზომების გატარებაა აუცილებელი.

მე-10 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია ფასს 15-ის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამოვლენაზე.

მე-11 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია არსებითობის სათანადოდ შეფასებაზე.

მე-12 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, ვის უნდა ეცნობოს ამ საკითხის შესახებ და რატომ.

მე-13 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის განსაზღვრაზე, რომ აუცილებელია ტესტირების სათანადოდ გაფართოება.

მე-14 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული აღარ არის, რადგან ზემოთ უკვე მიკუთვნებულია ქულა ამ საკითხზე.

მე-15 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია წარმოქმნილი თავდაჯერებულობის საფრთხის გამოვლენაზე.

მე-16 შენიშვნა

მართალია მოსაზრება სწორია, მაგრამ გაურკვეველია მისი შესაფერისობა. ქულა მოგვიანებით არის მიკუთვნებული ამ საკითხზე, როდესაც საკითხი კონტექსტის შესაფერისია (იხ. მე-19 შენიშვნა).

მე-17 შენიშვნა

ეს მოსაზრებაც სწორია, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაფერისი არ არის, რადგან აუდიტორი ვერ გაუწევს საგადასახადო მომსახურებას ისეთ დამკვეთს, რომელიც საზოგადოების დაინტერესების პირია (და Davis Co არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია).

მე-18 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის, რადგან გამომდინარეობს წინა შეუფერებელი საკითხიდან.

მე-19 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, ვის უნდა ეცნობოს ამ საკითხის შესახებ და რატომ.

მე-20 შენიშვნა

ეს წმინდა წყლის სპეკულაციაა და, მართალია, აუდიტორის ასისტენტს ემუქრებოდნენ, მაგრამ ფირმამ მაინც რაღაც უნდა იიღოს, მაგრამ არა ის, რომ გარიგებიდან გამოვიდეს.

მე-3 კითხვაზე მეორე კანდიდატის შეფასება არის 12/20.

სულ

12/20

კითხვა 5 (ბ)

საზოგადოებრივ, გამოცდაზე აუდიტორის დასკვნასთან დაკავშირებული კითხვები ორი ფორმით არის წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში შეიძლება გთხოვდნენ საკითხის გავლენის შეფასებას აუდიტორის დასკვნაზე აუდიტის საბოლოო შემაჯამებელი მიმოხილვის სტადიაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში შეიძლება გთხოვდნენ აუდიტორის დასკვნის პროექტის ტექსტის კრიტიკულად შეფასებას. მე-5 კითხვის (ბ) ნაწილი სწორედ მეორე ფორმის კითხვის მაგალითია („კრიტიკულად შეაფასეთ“).

„კრიტიკულად შეაფასეთ“ იმას ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე უნდა განიხილოთ ინფორმაციის თითოეული ნაწილი და შეაფასოთ, სწორია თუ არა.

კრიტიკულად შეაფასეთ Blackmore ჯგუფის 2018 წ. 31 მარტს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნიდან ამონარიდი.

მიაქციეთ ყურადღება: თქვენ **არ გთხოვენ** აუდიტორის დასკვნის ამონარიდის ხელახლა დაწერას.

12 ქულა

მოთხოვნებთან დაკავშირებული შენიშვნები

მოთხოვნა „კრიტიკულად შეაფასეთ“ იმას ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე უნდა განიხილოთ ინფორმაციის თითოეული ნაწილი და შეაფასოთ, სწორია თუ არ არის სწორი და მიუთითოთ, რატომ. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისიც უნდა მიუთითოთ, როგორ უნდა გასწორდეს ის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ აშკარაა, რომ არ გთხოვენ ამონარიდის ხელახლა დაწერას.

პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოთ ის არის, რომ მოთხოვნა ეხება აუდიტორის დასკვნის „ამონარიდს“. ვინაიდან ეს არ არის სრული დასკვნა, პასუხში საჭირო არ არის კომენტარების გაკეთება გამოტოვებულ ელემენტებზე და, მაშასადამე, ამაზე ქულებს ვერ მიიღებთ.

სცენარის მიხედვით ამონარიდი მოიცავს აუდიტის ორ ძირითად საკითხს, პირობით მოსაზრებას და მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს. თქვენგან მოელოდნენ შემდეგი შეცდომების გამოვლენას: დასკვნის ნაწილების არასწორი თანმიმდევრობა, ამონარიდში არასწორი ტექსტის/ფორმულირების გამოყენება და ასევე „აუდიტის ძირითადი საკითხებისა“ და „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცების“ არასწორად გამოყენება.

ამ სტილის კითხვისთვის, როგორც წესი, თითოეულ კარგად ახსნილ საკითხს მიეკუთვნება ერთ ქულამდე. როგორც შეფასების სქემიდან ვხედავთ, ქულების დიდი ნაწილი მიკუთვნებულია სცენართან მისადაგებული პასუხისთვის. ამონარიდის ოთხი ნაწილიდან თითო ნაწილთან დაკავშირებით 2 ან 3 კარგი კომენტარის მოფიქრებისთვის აშკარად მიიღებთ ამ მოთხოვნის შესაფერის გამსვლელ შეფასებას.

5 (ბ) კითხვა - 1-ლი კანდიდატის პასუხი

რველ რიგში, ანგარიშის სტრუქტურა არ არის სწორი. პირობითი მოსაზრება უნდა იყოს პირველ აბზაცში, რასაც მოსდევს მოსაზრების საფუძვლის აბზაცი.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი მოსდევს პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცს.

თუმცა, აუდიტორს შეუძლია თვითონ იმსჯელოს იმის თაობაზე, მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილის წინ უნდა განათავსოს თუ შემდეგ. აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილი გადავა მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ქვემოთ, თუ აუდიტორი მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის განთავსებას გადაწყვეტს აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილის ზემოთ. აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილი შეიძლება ჩამოვიდეს პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცის ქვემოთ.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი არ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ეხება კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს ინფორმაცია ასახული უნდა იყოს არსებით განუსაზღვრელობასთან დაკავშირებულ სპეციალურ ნაწილში.

ეს ნაწილი განთავსებულია პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცის შემდეგ.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი ამოსაღებია აუდიტორის დასკვნიდან.

მეორე საკითხი, რომელიც მე გამოვავლინე, ის არის, რომ არასწორად არის დასათაურებული პირობითი მოსაზრების აბზაცი. მისი სათაური უნდა იყოს „პირობითი მოსაზრება“ და არა „პირობითი მოსაზრება, გამოწვეული სააღრიცხვო მიდგომასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო“.

გარდა ამისა, ფორმულირება ასეთი უნდა იყოს: ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის გავლენის გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, არ არის სათანადოდ მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დასკვნას უნდა დაერთოს მოსაზრების საფუძვლის აბზაცი, სადაც ახსნილია პირობითი მოსაზრების მიზეზი.

აუდიტის ძირითადი საკითხის ნაწილში ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ აუდიტორი ცალკე არ გამოთქვამს მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ, მაგრამ ეს მხედველობაში იქნა მიღებული მოსაზრების ჩამოყალიბების დროს.

მოკლედ სწორი სტრუქტურა ასეთი უნდა იყოს:

1. პირობითი მოსაზრება
2. არსებითი განუსაზღვრელობა
3. აუდიტის ძირითადი საკითხები

სულ - ნაწილი (ბ):
5/12

ქულები

შენიშვნა

1

← შენიშვნა 1

0

← შენიშვნა 2

0

← შენიშვნა 3

1

← შენიშვნა 4

1/2

← შენიშვნა 5

0

← შენიშვნა 6

1

← შენიშვნა 7

0

← შენიშვნა 8

1/2

← შენიშვნა 9

1

← შენიშვნა 10

0

← შენიშვნა 11

შენიშვნები 5 (ბ) კითხვაზე 1-ლი კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხის შესახებ

1-ლი შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია მოსაზრების აბზაცის არასწორი ადგილის გამოვლენაზე და სწორი ადგილის მითითებაზე.

მე-2 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის, რადგან აქ შეუფერებელია მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის მითითება. ქულა მოგვიანებით არის მიკუთვნებული, სადაც კანდიდატს სწორად აქვს მითითებული, საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის აბზაცი (იხ. მე-4 შენიშვნა).

მე-3 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებული არ არის „სახელმძღვანელოდან“ პირდაპირ გადმოტანილ კომენტარზე. არც ეს კომენტარია რელევანტული, რადგან არ არსებობს „მნიშვნელოვანი გარემოება“, რომელიც უნდა აისახოს აუდიტორის დასკვნაში.

მე-4 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, რომ არასწორად არის გამოყენებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი და არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე სახელწოდების, განცალკევებულ სპეციალურ ნაწილში.

მე-5 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამო, რომ სწორად არის მითითებული მოსაზრების აბზაცის ადგილმდებარეობა აუდიტორის დასკვნაში.

მე-6 შენიშვნა

ამ საკითხზე ქულა უკვე მიკუთვნებული ჰქონდა კანდიდატს (მე-4 შენიშვნა).

მე-7 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ არასწორად არის დასათაურებული მოსაზრების აბზაცი და მითითებულია სწორი სათაური.

მე-8 შენიშვნა

ეს არ არის სწორი განცხადება. („არ შეიცავს არსებით უზუსტობას“ ეს არის ფრაზა, რომელიც გამოიყენება აუდიტორის დასკვნაში დასაბუთებული რწმუნების აღწერისას აუდიტორის პასუხისმგებლობის ნაწილში. მოსაზრების გამოთქმისთვის ნებადართულია ორი ტერმინის გამოყენება „უტყუარად და სამართლიანად ასახავს“ ან „სამართლიანად ასახავს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“).

მე-9 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის მითითებაზე, სად უნდა იყოს აღწერილი პირობითი მოსაზრების გამომწვევი მიზეზები.

მე-10 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენასა და მითითებაზე, რომ საკითხი გამოტოვებულია „აუდიტის ძირითადი საკითხები“ ნაწილში.

მე-11 შენიშვნა

გამეორებისთვის ქულები არ იწერება.

5 (ბ) კითხვაზე ამ კანდიდატის შეფასება არის 5/12.

სულ

5/12

5 (ბ) კითხვა - მე-2 კანდიდატის პასუხი

აუდიტის ძირითადი საკითხი - შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება სწორად არის განთავსებული აუდიტის ძირითადი საკითხის ნაწილში. ეს არის მნიშვნელოვანი განსჯის სფერო.

ეს ნიშნავს, რომ აქციონერებისთვის მნიშვნელოვანია ამის ცოდნა.

თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების აუდიტის პროცესიც უნდა იყოს აქ ასახული.

აუდიტის ძირითადი საკითხი - ლიკვიდაცია

ლიკვიდაცია არ უნდა აისახოს აუდიტის ძირითადი საკითხის ნაწილში. ეს არასწორია, რადგან ამკარად არსებობს უზუსტობა - შექმნილი არ არის სრული ანარიცხი.

ეს თანხა ჯგუფის მთლიანი აქტივების 2.03%-ია და დაბეგვრამდე მარალის -13%. ეს ნიშნავს, რომ ის არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

ეს უნდა აისახოს „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში.

მნიშვნელოვანი გარემოება

აქ სათაური არასწორია. ვინაიდან არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით, ეს განცხადება კოვენანტების დარღვევისა და მარალის შესახებ უნდა ასე დასათაურდეს „ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“.

ფორმატი და ტექსტის ფორმულირება

პირობითი მოსაზრების აბზაცის სათაურში არ უნდა იყოს ასეთი რამ „წარმოქმნილი ...“ და ა.შ. მისი სათაური მარტივია „პირობითი მოსაზრება“.

მითითება ფასს სტანდარტებზე სრულად უნდა დაიწეროს, როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

აქ არ უნდა იყოს არანაირი მნიშვნელოვანი გარემოება, უნდა იყოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ეს უნდა განთავსდეს მოსაზრების საფუძვლის შემდეგ.

აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილს უნდა ჰქონდეს შესავალი, სადაც ახსნილია, რა არის აუდიტის ძირითადი საკითხები (ანუ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მიმდინარე პერიოდის აუდიტისთვის).

ეს უნდა განთავსდეს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის ნაწილის შემდეგ.

სულ - ნაწილი (ბ):
9/12

ქულები

შენიშვნა

1

← შენიშვნა 1

1

← შენიშვნა 2

1

← შენიშვნა 3

1

← შენიშვნა 4

1/2

← შენიშვნა 5

1

← შენიშვნა 6

1

← შენიშვნა 7

1/2

← შენიშვნა 8

1/2

← შენიშვნა 9

1

← შენიშვნა 10

1/2

← შენიშვნა 11

შენიშვნები 5 (ბ) კითხვაზე მე-2 კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ

1-ლი შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამო, რომ კანდიდატმა სწორად განსაზღვრა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება არის აუდიტის ძირითადი საკითხი.

მე-2 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ გამოტოვებული იყო გავლენა აუდიტის პროცესზე/სამუშაოზე.

მე-3 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ ეს არ არის აუდიტის ძირითადი საკითხი და ახსნილია რატომ.

მე-4 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია არსებითობის შეფასებაზე.

მე-5 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის განსაზღვრაზე, სად უნდა აისახოს ეს საკითხი.

მე-6 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ არასწორად არის გამოყენებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი ისეთი საკითხისთვის, რომელიც ასახული უნდა იყოს დასკვნის სპეციალურ ნაწილში „კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“.

მე-7 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ არასწორად არის დასათაურებული მოსაზრების აბზაცი და მითითებულია სწორი სათაური.

მე-8 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია სწორ შენიშვნაზე.

მე-9 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია „კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის“ სწორი ადგილის მითითებაზე.

მე-10 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია იმის გამოვლენაზე, რომ გამოტოვებულია შესავალი აუდიტორის დასკვნის „აუდიტის ძირითადი საკითხების“ ნაწილში.

მე-11 შენიშვნა

ქულა მიკუთვნებულია აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილის სწორი ადგილის მითითებაზე.

5(ბ) კითხვაზე მეორე კანდიდატის შეფასება არის 9/12.

სულ

9/12

მოგეთხოვებათ:

შეაფასოთ ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები და მათი გავლენა აუდიტის დასრულებაზე, მათ შორის, განსაზღვროთ ნებისმიერი დამატებითი ქმედებები, რომლებიც უნდა გაატაროს თქვენმა აუდიტორულმა ფირმამ. პასუხი უნდა მოიცავდეს საკითხებს, რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს დამკვეთის ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს Davis Co-ს აუდიტთან დაკავშირებით.

მიაქციეთ ყურადღება: ქულების განაწილება ნაჩვენებია თითოეული საკითხის ბოლოს. (სულ 20 ქულა)

მე-3 კითხვის პასუხი

ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული საკითხებისა და აუდიტის დასრულებაზე მათი გავლენის შეფასება, დამატებითი ქმედებები

(i) ვალდებულებებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ტესტირება

არ არსებობს შესყიდვების მენეჯერის სანქციონირების მტკიცებულება 3 შესყიდვის შეკვეთაზე, რაც ნიშნავს, რომ ეფექტურად არ მუშაობს შიდა კონტროლის ის პროცედურები, რომლებზეც აუდიტორი აპირებს დაყრდნობას. შესაბამისი დამამტკიცებელი დოკუმენტაციის მიმოხილვა და დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ ეს მუხლები ლეგიტიმური ბიზნესის დანახარჯები იყო, ვერ გადაჭრის კონტროლის მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებაში არსებულ გადახრას. არსებობს რისკი იმისა, რომ შეიძლება სხვა გადახრებიც და სხვა არასანქციონირებული შესყიდვებიც არსებობდეს, რომელთა მიზანი არ იქნება ლეგიტიმური ბიზნესის მიზნები. ამგვარად, როგორც ჩანს, აუდიტორული პროცედურები არ არის ადეკვატური. აუდიტორის ასისტენტს უნდა ამ საკითხის შესახებ ეცნობებინა მენეჯერისთვის და პარტნიორისთვის, რათა მათ გადაეწყვიტათ, საჭირო იყო თუ არა დამატებითი სამუშაოს შესრულება ან რისკის ანალიზის ჩატარება და დამკვეთ კომპანიაში ვისთვის უნდა ეცნობებინათ ამ საკითხების შესახებ, მაგალითად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის თუ ა. შ. ეს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვის დროსაც.

აუდიტის დასრულებამდე აუდიტის გუნდმა უნდა შეაფასოს შიდა კონტროლის ნაკლოვანებების მასშტაბი და მნიშვნელობა და განიხილოს თავდაპირველი შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდისა და აუდიტორული ტესტირების გაფართოების საკითხი. თუ გაფართოებული ტესტირების შედეგად შიდა კონტროლის მუშაობაში სხვა გადახრებიც გამოვლინდება, აუდიტორმა უნდა გააანალიზოს, შიდა კონტროლზე დაყრდნობის მიდგომა არის თუ არა შესაფერისი მოცემულ სიტუაციაში და ასევე განიხილოს, აუცილებელია თუ არა უფრო მეტი ძირითადი ტესტების ჩატარება სავაჭრო ვალდებულებებზე. გარდა ამისა, აუდიტორმა უნდა განიხილოს, საჭირო იქნება თუ არა ამ საკითხის ჩართვა ხელმძღვანელობისთვის მომზადებულ ანგარიშში.

ასს 260-ის - „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება“ - შესაბამისად აუდიტორს მოეთხოვება, რომ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ეს მოიცავს მნიშვნელოვან სირთულეებს, რომლებსაც აუდიტორები წააწყდნენ აუდიტის პროცესში და ისეთ საკითხებსაც, რომლებსაც დასჭირდა მოულოდნელი დიდი ძალისხმევა აუცილებელი საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებისას. იმის გამო, რომ 3 შესყიდვის შეკვეთაზე არ არსებობს შესყიდვების მენეჯერის სანქციონირების მტკიცებულება, აუცილებელია აუდიტორული ტესტირების გაფართოება და ეს საკითხი წარმოადგენს პოტენციურად მნიშვნელოვან ნაკლოვანებას შიდა კონტროლის მექანიზმების მუშაობაში. ამგვარად

რად, ეს საკითხი წარმოადგენს პოტენციურად მნიშვნელოვან აუდიტის საკითხს, რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს.

(ii) მცირე სალაროსთან დაკავშირებული თაღლითობა

პირადი მიზნებისთვის ტაქსის გამოყენება მცირე სალაროს მოლარის მიერ განხორციელებული თაღლითური ოპერაციაა და ეს საკითხი განხილული უნდა იყოს როგორც აუდიტორის, ისე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის პოზიციიდან, რომელიც ეხება თაღლითობის პრევენციასა და გამოვლენას. ასს 240 - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“ - აღნიშნულია, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა თაღლითობის თავიდან აცილებასა და გამოვლენაზე ეკისრება როგორც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, ისე ხელმძღვანელობას. თაღლითობის არსებობა შეიძლება ასევე კონტროლის გარემოს ნაკლოვანებებზეც მიუთითებდეს. აუდიტორი პასუხისმგებელია დასაბუთებული რწმუნების მოპოვებაზე იმის შესახებ, რომ მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებულ უზუსტობას. \$175 თანხა აშკარად არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებისთვის და, ამგვარად, არ წარმოადგენს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი შეცდომის პოტენციურ წყაროს. აუდიტორმა უნდა განიხილოს მცირე სალაროს ბუღალტრული ჩანაწერები, რათა მოიპოვოს მტკიცებულებები სხვა დარღვევების შესახებ და გამოვლენილი საკითხები განიხილოს ხელმძღვანელობასთან ერთად. თუმცა, თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ ეს საკითხი იწვევს თაღლითობისა და კონტროლის რისკის საერთო შეფასების გაზრდას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას.

მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, რომ ეს თანხა არსებითი არ არის, აუდიტორის ასისტენტის ურთიერთობა მცირე სალაროს მოლარესთან ქმნის ფამილიარული ურთიერთობის საფრთხეს. ვინაიდან აუდიტორის ასისტენტმა ამ საკითხს ყურადღება არ მიაქცია და მნიშვნელობა არ მიაანიჭა გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველთან საკითხის განხილვამდე, ეს ფაქტი შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ აუდიტორის ასისტენტს არ გააჩნია პროფესიული პატიოსნება. ასს 220 - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“ - შესაბამისად აუდიტორს, ძირითადად კი აუდიტის გარიგების პარტნიორს ეკისრება ეთიკის მოთხოვნებზე მონიტორინგის განხორციელების პასუხისმგებლობა მთელი აუდიტის განმავლობაში. ფირმის პროცედურები, რომლებიც ეხება აუდიტის გუნდში წევრების დანიშვნას და ასევე დამკვეთის პერსონალთან პირადი ურთიერთობის შესახებ ინფორმირებას, განხილულ უნდა იქნეს ამ პასუხისმგებლობის ფონზე.

თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ მცირე სალაროს თაღლითობა და მცირე სალაროს ბუღალტრული ჩანაწერების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი სხვა საკითხები იწვევს თაღლითობისა და კონტროლის რისკის საერთო შეფასების გაზრდას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას და მისცეს რეკომენდაცია, რომ მცირე სალაროს ყველა ოპერაცია აუცილებლად უნდა განიხილებოდეს ადეკვატურად და უნდა ხდებოდეს მათი სანქციონირება.

(iii) ამონაგებთან დაკავშირებული დროში გამიჯვნის პროცედურების ტესტირება

ფასს 15 - „ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“ - მოითხოვს, რომ საწარმომ ამონაგები მაშინ აღიაროს, როდესაც ან როგორც კი საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (ე.ი. აქტივის) მომხმარებლისთვის გადაცემით. აქტივი მაშინ მიიჩნევა გადაცემულად, როდესაც ან როგორც კი მომხმარებელი კონტროლს მოიპოვებს ამ აქტივზე. ამგვარად, ამ მიდგომის საფუძველზე ამონაგები ძალიან ადრეა აღიარებული და ამის შედეგად ამონაგები, მოთხოვნები და მოგება გადიდებულია.

გამოვლენილი შეცდომა იზოლირებულად აღებული არსებითი არ არის ფინანსური ანგარიშგებისთვის, რადგან ამონაგების 0.2%-ია (17,880/8.7 მლნ). ეს შეცდომა უნდა

გავრცელდეს გამოვლენილი შეცდომების სიხშირისა და ამ კონკრეტული მომხმარებლის გაყიდვების დონის საფუძველზე, რათა აუდიტორმა შეაფასოს არსებითი უზუსტობის შესაძლებლობა. ამგვარი შეფასების საფუძველზე აუდიტორმა უნდა გააფართოვოს დამკვეთის დროში გამიჯვნის პროცედურების ტესტირება, რათა შემდეგ შეაფასოს არსებითი შეცდომის არსებობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, აუდიტორმა ხელმძღვანელობასთან უნდა დაადასტუროს, რომ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ამგვარი პროცედურა მხოლოდ ამ კონკრეტული მომხმარებლის მიმართ გამოიყენება და შემდეგ განიხილოს თავისი შეფასებისა და ტესტირების განვრცობის საკითხი სხვა მომხმარებლებზეც, აუცილებლობის შემთხვევაში. ასევე, აუდიტორმა უნდა განიხილოს ბოლო წლის დროში გამიჯვნის პროცედურები, რათა გამოიკვლიოს, წინა წელსაც ხომ არ იყო დაშვებული ამ შეცდომების მაკომპენსირებელი შეცდომები.

ყველა გამოვლენილი უზუსტობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ხელმძღვანელობას და აუდიტორმა უნდა მოითხოვოს მათი გასწორება. ასს 260 მოითხოვს, რომ აუდიტორმა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა აცნობოს თავისი მოსაზრება სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ასპექტების, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ფასს 15 აღიარების კრიტერიუმების შეუსრულებლობა აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხია და ამის შესახებ უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ასს 260-ის შესაბამისად.

(iv) საგადასახადო კონსულტაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ (ii), აუდიტორს ეკისრება მთელი აუდიტის განმავლობაში ეთიკურ მოთხოვნებზე მონიტორინგის განხორციელების პასუხისმგებლობა. ასისტენტის ჩართვა მოცემული წლის-თვის კომპანიის მოგების გადასახადის ვალდებულების გამოთვლაში წარმოადგენს თავდაჯერებულობის საფრთხეს, ვინაიდან გადასახადის გამოთვლა ქმნის საფუძველს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენები საგადასახადო ვალდებულებისა და მოცემული წლის მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში ნაჩვენები საგადასახადო ხარჯისთვის. ეს რისკი იზრდება იმის გამო, რომ Davis Co არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია და ბესსის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის თანახმად აუდიტორმა არ უნდა ჩაატაროს გადასახადის გამოთვლა საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიებისთვის. Davis Co საფონდო ბირჟაზე კოტირებული დამკვეთია და, ამგვარად, ფირმამ, როგორც აუდიტორმა, არ უნდა გაუწიოს მას არანაირი საგადასახადო მომსახურება, ვინაიდან აუდიტორის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხე ძალიან მაღალია და აუდიტორულ ფირმას უფლება არ აქვს, გამოითვალოს მიმდინარე ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (ან აქტივები) საბუღალტრო გატარებების მომზადების მიზნით, რომლებიც არსებითია შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე დართული განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ასს 260-ის შესაბამისად, აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებაც აუდიტორს მოეთხოვება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება, მოიცავს აუდიტის მსვლელობისას წამოჭრილ ისეთ საკითხებსაც, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესზე ზედამხედველობის გაწევის თვალსაზრისით. ამგვარად აუდიტორმა უნდა აცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, რომ ფინანსურ დირექტორს არ აქვს ამგვარი უნარები და კვალიფიკაცია, ასევე იმის თაობაზე, რა გავლენას იქონიებს ეს დამკვეთის კადრების შევსებისა და სწავლების პროცედურებზე. გარდა ამისა, აუდიტორმა უნდა აცნობოს მათ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემების შესახებ (იხ. ზემოთ), რასაც განაპირობებს ფინანსური დირექტორის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ აუდიტორის ასისტენტმა გამოითვალოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულება.

შეფასების სქემა

მე-3 კითხვა

როგორც წესი, 1½ ქულამდე თითოეული გამოვლენილი საკითხისა და გავლენის /ქმედებისთვის. ასევე, ხელმძღვანელობის/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირებისთვის განკუთვნილ თითოეულ გამოვლენილ საკითხზე 1 ქულამდე.

(i) ვალდებულებებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ტესტირება

- შიდა კონტროლის ნაკლოვანება, არასანქცინირებული შესყიდვების რისკი.
- არაადეკვატური აუდიტორული პროცედურები, საჭიროა შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის გაზრდა და აუდიტორული ტესტირების გაფართოება, რათა შეფასდეს ნაკლოვანების ზემოქმედების მასშტაბი და მნიშვნელობა.
- შიდა კონტროლზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომა შეიძლება შეუსაბამო იყოს, ძირითადი პროცედურების გაფართოების მიდგომის საჭიროების განხილვა.

ხელმძღვანელობა/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები:

- კონტროლის ნაკლოვანების შესახებ ინფორმაციის ჩართვა ხელმძღვანელობისთვის მომზადებულ ანგარიშში.
- აუდიტის დროს წარმოქმნილი პოტენციურად მნიშვნელოვანი სირთულე, რაც იწვევს მოულოდნელად მეტი ძალისხმევის საჭიროებას აუდიტში, საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებისას.
- შიდა კონტროლის პოტენციურად მნიშვნელოვანი ნაკლოვანება.
- შესაბამისად, შეიძლება წარმოადგენდეს აუდიტის მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებს.

მაქსიმალური ქულები

4

(ii) მცირე სალაროსთან დაკავშირებული თაღლითობა

- თანხა აშკარად უმნიშვნელოა ფინანსური ანგარიშგებისთვის.
- პირადი მიზნებისთვის ტაქსის გამოყენებისთვის დახარჯული ფული მცირე სალაროს მოლარის თაღლითური ოპერაციაა.
- აუდიტორისა და ხელმძღვანელობის შედარებითი პასუხისმგებლობა თაღლითობის პრევენციასა და გამოვლენასთან დაკავშირებით.
- დამოუკიდებლობის საფრთხე, აუდიტორის ასისტენტის მცირე სალაროს მოლარესთან ურთიერთობის გამო, ასისტენტს არ გააჩნია პროფესიული პატიოსნება.
- ფამილიარული ურთიერთობის საფრთხე, აუდიტის გუნდის წევრსა და მცირე სალაროს მოლარეს შორის ახლო ურთიერთობის გათვალისწინებით.
- აუდიტის გუნდებში პერსონალის დანიშვნასა და დამკვეთის თანამშრომლებთან პირადი ურთიერთობების არსებობის შესახებ ინფორმირებისთვის განკუთვნილი ფირმის პროცედურების მიმოხილვა.
- ასს 220-ის თანახმად, აუდიტის პარტნიორს ეკისრება პასუხისმგებლობა მთელი აუდიტის პროცესში ეთიკური მოთხოვნების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელებაზე.

ხელმძღვანელობა/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები:

- უკანონო ქმედებაა კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა და, გარდა ამისა, ეს შეიძლება მიანიშნებდეს კონტროლის გარემოს ნაკლოვანებაზე.
- აუდიტორის დამოუკიდებლობის საფრთხეს წარმოადგენს ეთიკის კოდექსისა და ასს 260--ის მოთხოვნების შესაძლო შეუსრულებლობა.

- მიუხედავად იმისა, რომ თანხები არ არის არსებითი, პოტენციური დარღვევის შესახებ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას აუდიტორის რეკომენდაციასთან ერთად იმის თაობაზე, რომ მცირე საღაროს ყველა ოპერაცია ადეკვატურად უნდა განიხილებოდეს და სანქციონირდებოდეს.

მაქსიმალური ქულები

6

(iii) ამონაგებთან დაკავშირებული დროში გამიჯვნის პროცედურების ტესტირება

- გამოვლენილი თანხა ამონაგებთან მიმართებით არ არის არსებითი (შესაბამისი გაანგარიშებით).
- შეუსაბამობა ფასს 15-თან, ამონაგები აღიარებულია არასწორ მომენტში, ე.ი. მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემამდე.
- ამონაგების, დებიტორული დავალიანებისა (მოთხოვნების) და მოგების ოდენობა გადიდებულია.
- არაადეკვატური აუდიტორული პროცედურები, საჭიროა შეცდომის ექსტრაპოლაცია ან/და დროში გამიჯვნის ტესტირება უნდა გაფართოვდეს სხვა შეცდომების გამოსავლენად.
- აუდიტორმა ასევე უნდა განიხილოს გასული წლის დროში გამიჯვნის პროცედურები, რათა გამოიკვლიოს, წინა წელს ხომ არ არის დაშვებული რაიმე მაკომპენსირებელი შეცდომა.

ხელმძღვანელობა/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები:

- ხელმძღვანელობას უნდა ეცნობოს ყველა უზუსტობის შესახებ და აუდიტორმა უნდა მოითხოვოს მათი გამოსწორება.
- ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობა.
- არასათანადო სააღრიცხვო პოლიტიკა არის აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხის მაგალითი და ამის შესახებ უნდა ეცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ასს 260-ის შესაბამისად.

მაქსიმალური ქულები

6

(iv) საგადასახადო კონსულტაცია

- თავდაჯერებულობის საფრთხე, რადგან გადასახადის გაანგარიშება ქმნის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საგადასახადო ვალდებულებისა და საგადასახადო ხარჯის საფუძველს.
- რისკი იზრდება დამკვეთის კოტორებული კომპანიის სტატუსის გამო.
- აუდიტორმა არ უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საფონდო ბირჟაზე კოტირებული დამკვეთისთვის.
- მაშასადამე, აქ მიუღებელია აუდიტორისთვის Davis Co-სთვის საგადასახადო ვალდებულების გამოთვლა.

ხელმძღვანელობა/მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები:

- დამკვეთის ფინანსურ პერსონალს არ აქვს შესაბამისი უნარები და ცოდნა.
- გავლენა დამკვეთის თანამშრომლების დაქირავების ან/და სწავლების პროცედურებზე.

მაქსიმალური ქულები

4

მაქსიმუმ

20

მე-5 კითხვა

- (ბ) თქვენ ხართ Blackmore ჯგუფის 2018 წ. 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე პასუხისმგებელი მენეჯერი, რომელიც არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია და აწარმოებს მაღალი ხარისხის მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროექტში აღიარებულია დაბეგრამდე ზარალი \$2.2 მლნ (2017 წ. - \$1.5 მლნ ზარალი) და მთლიანი აქტივები \$14.1 მლნ (2017 წ. - \$18.3 მლნ). აუდიტი სადაცაა დასრულებული და უფროსმა აუდიტორმა მოამზადა აუდიტორის დასკვნის პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ამონარიდს:

აუდიტის ძირითადი საკითხები

1. ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ჯგუფს გაფორმებული აქვს სტრუქტურირებული ფორვარდული ხელშეკრულებები მასალების შესყიდვაზე, რომლებიც გამოიყენება საწარმოო პროცესში. ამ არაკოტირებული ინსტრუმენტების შეფასება ეყრდნობა გარკვეულ ვარაუდებს/პიპოთეზებს და ჯგუფის ფინანსური დირექტორის ტომას ბოლინის მიერ შემუშავებულ შიდა მოდელს. ბ-ნი ბოლინი 2018 წლის იანვრიდან არის დასაქმებული ამ ჯგუფში და მნიშვნელოვანი შეფასების განუსაზღვრელობა დაკავშირებული მის მიერ გამოთვლილ შეფასებებთან მისი გამოუცდელობის გამო. შედეგად, ამ ხელშეკრულებების შეფასებას მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდა ჩვენს აუდიტში.

2. მომხმარებლის ლიკვიდაცია

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოთხოვნების ციფრში ჩარ-თულია ერთ-ერთი მომხმარებლისგან მისაღები თანხა \$287,253, რომელმაც შეწყვიტა სავაჭრო საქმიანობა. იმის გამო, რომ ჯგუფს უზრუნველყოფილი არა აქვს ეს ვალი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯგუფმა უნდა ასახოს \$287,253-ის ოდენობის სრული ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის, რის შედეგადაც ამ თანხით შემცირდება მოცემული წლის დაბეგრამდე მოგება და მთლიანი აქტივები 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

3. პირობითი მოსაზრება, გამოწვეული სააღრიცხვო მიდგომასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო

ჩვენი აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოთ აღწერილი საკითხის გავლენის გარდა, ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ არის მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით ფასს სტანდარტების შესაბამისად.

4. მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ 2018 წ. 31 მარტს დასრულებული წლის \$2.2 მლნ-ის ოდენობის დაბეგრამდე ზარალზე და ასევე იმ ფაქტზე, რომ ჯგუფმა დაარღვია ძირითადი დამფინანსებლის სესხის შემზღუდავი პირობები (კოვენანტები). ამგვარად, არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებით.

მოგეთხოვებათ:

კრიტიკულად შეაფასოთ Blackmore ჯგუფის 2018 წ. 31 მარტს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ შედგენილი აუდიტორის დასკვნიდან ამონარიდი.

შენიშვნა: არ მოგეთხოვებათ აუდიტორის დასკვნის ამონარიდის ხელახლა დაწერა.

(12 ქულა)

(20 ქულა)

ბასუხი

5(ბ) აქ კრიტიკულად განსახილველია რამდენიმე საკითხი, რათა შევადგასოთ აუდიტორის დასკვნის ამონარიდი, რომლის პროექტიც მოამზადა უფროსმა აუდიტორმა ეს საკითხები:

აუდიტის ძირითადი საკითხები

ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს შესავალ აბზაცს, სადაც ახსნილი იქნება აუდიტის ძირითადი საკითხების ცნება, რათა აუდიტორის დასკვნის მომხმარებლებმა გაიგონ მათი მნიშვნელობა. შესავალ ნაწილში ასევე ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ აუდიტორი ცალკე არ გამოთქვამს მოსაზრებას „აუდიტის ძირითადი საკითხების“ ნაწილში აღწერილ საკითხებთან მიმართებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ეს ისეთი სფეროა, რომელსაც აუდიტის დროს მნიშვნელოვანი განსჯა ესაჭიროება და რომელთანაც დაკავშირებულია არსებული უზუსტობის მაღალი რისკი. მაშასადამე მისი ჩართვა აუდიტის ძირითად საკითხებში მართებულია, მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით შენიშვნებში უნდა იყოს ახსნილი ის ფაქტორები, რომელთა გამოც აუდიტორმა ეს საკითხი მიიჩნია აუდიტის ძირითად საკითხად. გარდა ამისა, ეს დაეხმარება მომხმარებლის აუდიტორის დასკვნის სხვა ნაწილის გაგებაშიც, თუ აუდიტორის დასკვნაში მოცემული იქნება ამ საკითხის რაოდენობრივი შეფასება და მისი მნიშვნელობის შეფასება და ახსნილი იქნება მისი გავლენა აუდიტის სამუშაოს ხასიათსა და მასშტაბზე.

აუდიტორმა უნდა აღწეროს, როგორ გადაიჭრა აუდიტის პროცესში ეს საკითხები და, მართალია, ეს აუდიტორის განსჯის საგანია, მაგრამ აუდიტორს შეუძლია აღწეროს გატარებული საპასუხო ზომები ან გამოყენებული მიდგომა, მოკლედ განიხილოს, რა პროცედურები ჩატარდა და მიუთითოს პროცედურების შედეგების შესახებ. განსახილველი ამონარიდის ტექსტის მიხედვით აუდიტორის დასკვნის მომხმარებლები კარგად ვერ გაიგებენ, როგორ შეკრიბა აუდიტორმა მტკიცებულებები აუდიტის ამ ძირითადი სფეროს შესახებ.

გარდა ამისა, აქ არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია დასკვნის ამ ნაწილთან. აუდიტორის დასკვნაში მითითებული არ უნდა იყოს ჯგუფის ფინანსური დირექტორის სახელი და გვარი და არც გაკრიტიკებული არ უნდა იყოს ის გამოუცდელობის გამო. სიტყვის ვარაუდების/ჰიპოთეზების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის და ეს ზიანს აყენებს აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის სანდოობას.

მომხმარებლის ლიკვიდაცია

მომხმარებლისგან მისაღები \$287,253 არსებითია დაბეგვრამდე ზარალთან მიმართებით – მისი 13.1%-ია და აქტივების – 2%. მაშასადამე, მიზანშეწონილია `გარდა~ პირობითი მოსაზრება არსებითი უზუსტობის საფუძველზე. თუმცა, დეტალური ინფორმაცია არსებითი უზუსტობის შესახებ საერთოდ არ უნდა იყოს ჩართული „აუდიტის ძირითადი საკითხების“ ნაწილში, არამედ აღწერილი უნდა იყოს პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში. გარდა ამისა, გარკვევით უნდა იყოს მითითებული ამის შესახებ თვითონ მოსაზრების აბზაცში. ამასთან, აუდიტორის დასკვნის ტექსტში ამჟამად მითითებულია დაბეგვრამდე მოგების შემცირება, როდესაც მითითებული უნდა ყოფილიყო დაბეგვრამდე ზარალის ზრდა.

მოსაზრების აბზაცი

ეს აბზაცი არასწორ ადგილას არის განთავსებული დასკვნაში და არასწორად არის დასათაურებული. ეს აბზაცი უნდა იყოს აუდიტორის დასკვნის დასაწყისში და უნდა ეწეროს მარტივი სათაური „პირობითი მოსაზრება“. მოსაზრების აბზაცში ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ ეს საკითხი აღწერილია „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ აბზაცში, რომელიც განთავსებული უნდა იყოს უშუალოდ მოსაზრების აბზაცის შემდეგ და მასში ნათლად უნდა იყოს აღწერილი საკითხი, რამაც განაპირობა პირობითი მოსაზრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, აქ მართებულია „გარდა“ პირობითი მოსაზრება არსებითობის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო - მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ასს 570-ის - „ფუნქციონირებადი საწარმო“ - შესაბამისად უკვე აღარ არის ნებადართული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის გამოყენება საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის აღსაწერად, რომლის შესახებაც ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. აუდიტორის დასკვნა ახლა უნდა მოიცავდეს სპეციალურ ცალკე ნაწილს, რომელიც განთავსებულია მოსაზრების საფუძვლის აბზაცის შემდეგ და აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილის წინ და მისი სათაური იქნება „საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“. საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობის ნაწილში კონკრეტულად მითითებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების ის შენიშვნა, სადაც დირექტორებმა წარმოადგინეს დეტალური ინფორმაცია ამ განუსაზღვრელობის შესახებ. თუ ეს საკითხი დირექტორების მიერ ადეკვატურად არ იქნებოდა გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მაშინ აუდიტორმა სრულყოფილად უნდა აღწეროს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესახებ ინფორმაცია და აუდიტორული მოსაზრება უნდა იყოს „გარდა“ პირობითი მოსაზრება ამ ინფორმაციის არგამჟღავნებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის საფუძველზე.

შეფასების სქემა

კითხვა 5(ბ)

როგორც წესი, 1 ქულამდე თითო კარგად ახსნილი საკითხისთვის.

აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილი

- აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილი უნდა მოიცავდეს შესავალ აბზაცს, სადაც ახსნილია აუდიტის ძირითადი საკითხების ცნება.
- აუდიტორი არ გამოთქვამს ცალკე მოსაზრებას აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

- სფერო, რომელსაც აუდიტში მნიშვნელოვანი განსჯა ესაჭიროება, არსებითი უზუსტობის მაღალი რისკით, მაშასადამე, პოტენციურად შესაფერისია ამ საკითხის ჩართვა აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილში.
- დაეხმარებოდა მომხმარებლის დასკვნის გაგებაში, თუ:
 - დასკვნაში მოცემული იქნება ამ საკითხის რაოდენობრივი/ მისი მნიშვნელობის შეფასება.

- ახსნილი იქნება მისი გავლენა აუდიტის სამუშაოს ხასიათსა და მასშტაბზე.
- აუდიტის ძირითადი საკითხების ნაწილის არასწორი ფორმულირება.
 - მითითებული არ უნდა იყოს ფინანსური დირექტორის სახელი და გვარი.
 - არ უნდა იყოს გაკრიტიკებული ის გამოუცდელობის გამო.
 - არასწორად შერჩეული სიტყვები/ტერმინები „ვარაუდების/ჰიპოთეზები“ ზიანს აყენებს აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის სანდოობას.

მომხმარებლის ლიკვიდაცია

- არსებითი მოგებისა და ზარალის მიმართ (შესაბამის გამოთვლასთან ერთად)
- დეტალური ინფორმაცია არსებითი უზუსტობის შესახებ საერთოდ არ უნდა იყოს ჩართული „აუდიტის ძირითადი საკითხების“ ნაწილში, არამედ აღწერილი უნდა იყოს პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში და ამის შესახებ გარკვევით უნდა იყოს მითითებული მოსაზრების აბზაცში.
- არასწორად არის მითითებული დაბეგვრამდე მოგების შემცირება, მითითებული უნდა ყოფილიყო დაბეგვრამდე ზარალის ზრდა.

მოსაზრების აბზაცი

- არასწორად არის განთავსებული, ახლა უნდა იყოს აუდიტორის დასკვნის დასაწყისში და მასში ნათლად უნდა იყოს მითითებული, რომ ინფორმაცია არსებითი უზუსტობი შესახებ აღწერილია „მოსაზრების საფუძვლის“ აბზაცში, რომელიც მის შემდეგ არის განთავსებული.
- არასწორი სათაური, სათაური უნდა იყოს უბრალოდ „პირობითი მოსაზრება“.
- შესაფერისია „გარდა“ მოსაზრება, არსებითი უზუსტობის საფუძველზე .

ფუნქციონირებადი საწარმო

- ასს 570-ის (გადასინჯული) შემდეგ, მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის გამოყენება აღარ არის მართებული.
- აუდიტორის დასკვნა ახლა უნდა შეიცავდეს სპეციალურ ნაწილს, სახელწოდებით „ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“.
- ეს ნაწილი უნდა იყოს უშუალოდ მოსაზრების საფუძვლის აბზაცის შემდეგ, მაგრამ „აუდიტის ძირითადი საკითხების“ ნაწილის წინ.
- აქ ზუსტად უნდა მითითებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა, სადაც დირექტორებმა აღწერეს განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული დეტალები.
- თუ დირექტორების მიერ ადეკვატურად არ არის გამჟღავნებული ეს ინფორმაცია, მოსაზრება უნდა იყოს პირობითი „გარდა“, იმის გამო, რომ გამჟღავნებული არ არის საჭირო ინფორმაცია.

მცირე საწარმოებს არ აქვთ დრო და რესურსი იმისთვის, რომ უფრო ეკომეგობრულები გახდნენ



მანამ, სანამ გაეროს კლიმატის ცვლილების 26-ე კონფერენციაზე მსოფლიო ლიდერები კლიმატის კრიზისს განიხილავდნენ, ACCA UK-ს და CFN-ის მიერ ერთობლივად ჩატარებულ კვლევაში მონაწილე მცირე საწარმოთა მფლობელებმა თავიანთ პასუხებში ასახეს ის რეალობა, რომლის წინაშეც ისინი დგანან გარემოზე ბრუნვის კუთხით.

მცირე საწარმოთა მფლობელებმა აღნიშნეს, რომ უპირველესი პრობლემა, რომელიც მათ ხელს უშლის ეკომეგობრული სტრატეგიების დანერგვაში, რათა თავიანთი ოპერაციები უფრო მდგრადი გახადონ, არის დროისა და რესურსის ნაკლებობა.

გარდა ამისა, კომპანიების „ბოსებმა“ აღნიშნეს, რომ მათ ამ მიმართულებით მუშაობაში ხელს უშლის მდგრადობის გეგმის განხორციელების საკითხში გამოუცდელობა – არ იციან, საიდან დაიწყონ და ასევე ისიც, რომ ეს საკითხი არ მოიწოდება მცირე საწარმოთა პრიორიტეტებს შორის.

მაგალითად, ბუღალტრები აღნიშნავენ, რომ მდგრადობის საკითხებში დახმარების თხოვნით მათ მიმართა მხოლოდ თავიანთი დამკვეთების 4%-მა.

მცირე და საშუალო საწარმოთა გამოკითხვა კარგად ასახავს იმ გამოწვევებს, რომელსაც მცირე საწარმოთა უმრავლესობა აწყდება საკუთარი მცდელობის დროს, გახდნენ უფრო ეკომეგობრულები და ამავდროულად გაუმკლავდნენ პანდემიით გამოწვეულ განსაკუთრებით მწვავე პრობლემებს.

პრობლემები მოიცავს მიწოდების ჯაჭვსა და საჭირო უნარების მქონე კადრების მოზიდვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ინფლაციის გაზრდილი დონის შედეგად მიღებულ ფინანსურ წნეხს და დაფინანსების ხარჯებს.

ბეზომალნიშნული კვლევის ანგარიში მოიცავს 16,300 მცირე და საშუალო საწარმოს წარმომადგენელი ბუღალტრებისგან მოპოვებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას ამბობენ მათი დამსაქმებელი

კომპანიები აღნიშნული საკითხების განხილვისას.

ამასთან, კვლევაში მონაწილე საწარმოები აღნიშნავენ, რომ მათ ისევ უწევთ გამკლავება ტრადიციული ინსტიტუციებიდან სათანადო დაფინანსების მოზიდვის პრობლემასთან მას შემდეგ, რაც შეწყდა სახელმწიფო დახმარების პროგრამების ფარგლებში სესხების გაცემა. პრაქტიკოსების 65% აღნიშნავს, რომ მათ დამკვეთებს გაუჭირდათ ოვერდრაფტის მოპოვება გასული 3 თვის განმავლობაში, რაც აგვისტოს მონაცემთან შედარებით (57%) მნიშვნელოვანი მატებაა.

პრაქტიკულად, ბუღალტერთა 20% მიიჩნევს, რომ მათ დამკვეთს არ მიუღია რეაბილიტაციისთვის საჭირო საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

მეორე მხრივ, ამის მიუხედავად, მცირე საწარმოთა 40% აცხადებს, რომ ისინი უკვე დაუბრუნდნენ პანდემიამდელ მდგომარეობას პროდუქტიულობის ან/და ბრუნვის მაჩვენებლებით, ხოლო თითქმის მეოთხედი (23%) ვარაუდობს, რომ მოუ-

წევს თანამშრომლების დამატება მომავალი 6-12 თვის განმავლობაში.

თუმცა, მფლობელებს კვლავ უწევთ გაუარესებულ მენტალურ ჯანმრთელობასთან გამკლავება. მათი 20% აღნიშნავს, რომ განიცდის მომატებულ სტრესსა და შფოთს, ხოლო 8%-ს ძილის პრობლემა აქვს.

ACCA UK-ს თავმჯდომარე, **კლერ ბენისონი** აცხადებს: „მცირე საწარმოთა მფლობელები გადაუდებელი პრობლემების მოგვარებით არიან დაკავებული და იბრძვიან გადარჩენისთვის. გასაგებია, რომ ახლა ისინი ვერ ფოკუსირდებიან მდგრადობასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა, ჩვენ მათ ვურჩევთ, უფრო გრძელვადიანი პოზიცია „დაიჭირონ“ და ზემოაღნიშნული საკითხები თანდათან „ჩააშენონ“ საკუთარ ორგანიზაციაში.

სახელმწიფოებმა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებმა ახლებური მიდგომით უნდა იმუშაონ ამ მიმართულებით და დაეხმარონ მცირე საწარმოებს იმის გააზრებაში, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მათ ამ საქმეში.“

წყარო: accaglobal.com

საჯარო ფინანსების მძივსა და ძლიერი მენეჯმენტი აუცილებელია არსებული და მომავალი რისკების სამართავად

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (UN SDG) მიღწევა დამოკიდებულია სახელმწიფოთა მიერ საჯარო „საფულის“ სწორად მართვაზე.

ACCA-ის ახალ ანგარიშში „საჯარო ფინანსების მენეჯმენტის მიდგომების გადახედვა“ განმარტებულია, რომ Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა მრავალი გაკვეთილი უნდა ასწავლოს სახელმწიფოებს საჯარო ფინანსების მართვისთვის (PFM) გამოყენებულ მიდგომებთან დაკავშირებით.

ACCA-ის ყოველწლიური ვირტუალური საჯარო სექტორის კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში გამოცემულ ანგარიშში

ში დასაბუთებულია, რომ სახელმწიფოს შესაძლებლობები მთლიანად დამოკიდებულია საჯარო ფინანსების მენეჯმენტის მისი სისტემების ხარისხზე – როგორ ამზადებს ის ბიუჯეტებს, როგორ მოიზიდავს დაფინანსებას, როგორ ხარჯავს ფულს და აწარმოებს ანგარიშგებას.

იმისათვის, რომ გაუმკლავდნენ Covid-19-ის პანდემიის გამოწვევებს და შეასრულონ გაეროს მიერ განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნები, აუცილებელია, სახელმწიფოებს ჰყავდეთ შესაფერისი საჭირო უნარების ძქონე ადამიანები ამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად.

ACCA-ის საჯარო სექტორის მიმართულების თავმჯდომარე და ანგარიშის თანაავტორი განმარტავს: „სახელმწიფო მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგას, თუ არ ჰყავს საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სფეროში სათანადო რაოდენობის პროფესიონალი. იმისათვის, რომ ისარგებლონ თანამედროვე გაუმჯობესებული საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სისტემებით, სახელმწიფოებს შესაძლოა დასჭირდეთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება როგორც უშუალოდ სისტემებში, ისე საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სფეროს სპეციალისტების მომზადებაში, რომლებმაც უნდა შეაფასონ მომავალი გადაწყვეტილებები.“

საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სპეციალისტი და ანგარიშის თანაავტორი, **გარი ბენდი** დასძენს:

„ფინანსური მენეჯმენტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. პანდემიამ სახელმწიფოებს ბევრი გაკვეთილი ასწავლა იმის თაობაზე, თუ რა მუშაობდა სწორად და რა - მოსალოდნელზე უარესად. ჩვენ გაცემთ რეკომენდაციებს მომავლისთვის, რადგან იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები ისევ პანდემიამდელი პერიოდის სტატუს ქვოს დაუბრუნდებიან საჯარო ფინანსების მენეჯმენტის კუთხით, ეს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა იქნება.“

ანგარიში მოიცავს ACCA-ის 1,500 წევრის შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სისტემები იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მომავლის კრიზისებთან გამკლავება.

რესპონდენტების აზრით, ყველაზე ტიპური გამოვლენილი პრობლემებია შემდეგი:

- ინდივიდებისა და ბიზნესების/სამეწარმეო სუბიექტების ფინანსურ საჭიროებებზე რეაგირება (45%);
- დისტანციურ მუშაობაზე გადასვლა (42%);

- საჭირო ტექნოლოგიური/ციფრული შესაძლებლობების არქონა (42%);
- სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობის შენარჩუნება (41%).

რესპონდენტები ჩრდილოეთ ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში ბევრად უფრო პოზიტიურად აფასებდნენ თავიანთი სახელმწიფოების საჯარო სექტორის ინსტიტუტებს, ვიდრე სხვა რეგიონების წარმომადგენლები. სექტორების მიხედვით, საჯარო სექტორის რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი (62%) მიიჩნევს ეფექტურად სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ვიდრე კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (42% და 37% შესაბამისად).

რესპონდენტებმა საჯარო ფინანსების მენეჯმენტის სისტემის განვითარების 3 ძირითადი მიმართულების იდენტიფიცირება მოახდინეს:

- სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობის გაუმჯობესება;
- რესურსების განაწილებისას პრიორიტეტების გამოკვეთის უკეთესი მეთოდები;
- რისკების მართვაზე ფოკუსირების ზრდა.

კვლევების შედეგად ასეთი დასკვნა გამოიტანეს: „არ არსებობს უნივერსალური მიდგომა გამოწვევებთან გასამკლავებლად და თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი სპეციფიკური ფისკალური და ეკონომიკური პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. ახალი ნორმისკენ მიმავალი გზა ყველა სახელმწიფოსთვის სხვადასხვანაირი იქნება, რადგან თითოეული მათგანი განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა პანდემიის შედეგად.“

Covid-19-ის პანდემიის პარალელურად გაზრდილი ხარჯების გრძელვადიანი შედეგები გამოიხატა გაზრდილ სახელმწიფო ვალსა და სხვა ვალდებულებებში, რასაც ხშირ შემთხვევაში რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება დასჭირდება მომავალში.“

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 05/11/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020401

საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 206-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი¹) ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
2 ნოემბერი 2021 წ.
N970-VIმს-Xმპ

ვებგვერდი, 15/11/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017526

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №299 2021 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №34331
2021 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი**

**„ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების
გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის
უფლების შეზღუდვის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021
წლის 5 აგვისტოს №25697 ბრძანებაში ცვლილების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 5 აგვისტოს №25697 ბრძანების:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გადასახადის გადამხდელის მიმართვის შემთხვევაში, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის, კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით, საკითხის შესწავლის შედეგად.“

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. არაკვალიფიციურ დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციურ დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს:

ა) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება.

ბ) გადასახადის გადამხდელის დამფუძნებელი პარტნიორის საგადასახადო დავალიანება ან/და გადასახადის გადამხდელის დამფუძნებელი პარტნიორის მიერ დაფუძნებული სხვა საწარმოს საგადასახადო დავალიანება.

5². ამ ბრძანების 5¹ პუნქტის მიზნებისათვის საგადასახადო ორგანო განსაზღვრავს საგადასახადო დავალიანების და დამფუძნებელი პარტნიორის წილობრივი მონაწილეობის ოდენობას საწარმოში, რა შემთხვევაშიც, პირს არ მიენიჭება კვალიფიციური დღგ-ს გადამხდელის სტატუსი.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

ვებგვერდი, 29/10/2021
სარეგისტრაციო კოდი
000000000.00.00.016646

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №39866
2019 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი**

**„ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების
განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708
ბრძანებაში (ნაწილი I) ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების (ნაწილი I) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“-„ზ“ ქვეპუნქტები:

„ე) „სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შედარებით, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი შემოსავლის სხვაობის დაბეგვრის შესახებ“, №5 დანართის შესაბამისად;

ვ) „სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შედარებით, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილ ხარჯებში სხვაობის დაბეგვრის შესახებ“, №6 დანართის შესაბამისად;

ზ) „სააღრიცხვო დოკუმენტაციის არარსებობისას, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით გამოანგარიშებული განკარგავდი თანხების დაბეგვრის შესახებ“, №7 დანართის შესაბამისად.“.

2. „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებას დაემატოს:

ა) დანართი №5 თანდართული რედაქციით;

ბ) დანართი №6 თანდართული რედაქციით;

გ) დანართი №7 თანდართული რედაქციით.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ვახტანგ ლაშქარაძე

დანართი №5

მეთოდური მითითება

**სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შედარებით, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით
გამოვლენილი შემოსავლის სხვაობის დაბეგვრის შესახებ (მეთოდური მითითება
განსაზღვრავს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის საკითხებს)**

ფაქტობრივი გარემოება

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მეთოდით გამოანგარიშებული შემოსავალი არსებითად აღემატება საწარმოს სააღრიცხვო დოკუმენტაციით ან/და სხვა მტკიცებულებებით დაფიქსირებულ შემოსავალს.

შეფასება და შედეგი

I - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა განმარტების წარდგენის შემთხვევაში, მისი განმარტების შესაბამისად, არაპირდაპირი მეთოდით გამოანგარიშებულ შემოსავალსა და სააღრიცხვო დოკუმენტაციით დაფიქსირებულ

შემოსავალს შორის დადებითი სხვაობის თანხა დაკვალიფიცირდება, როგორც შესაბამისი პერიოდის ბოლოს გაცემული:

- ა) პროცენტიანი ან უპროცენტო სესხი;
- ბ) დივიდენდი;
- გ) ხელფასი;

შენიშვნა: გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ან/და ახსნა-განმარტება შეიძლება მოიცავდეს როგორც ჩამოთვლილი ვარიანტების კომბინაციას, ისე შესაბამისი თანხის (თანხის ნაწილის) სხვა სახის განაცემად დაკვალიფიცირების შემთხვევას.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარუდგენლობის, აგრეთვე, სხვაობის თანხის განკარგვის თაობაზე სხვა სახის ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში, სხვაობის თანხა ჩაითვლება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ **ხელფასად**.

შენიშვნა:

ა) მეთოდური მითითების გამოყენების მიზნით, შემოწმებისას დადგენილი უნდა იყოს, რომ სახეზეა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველი.

ბ) სხვაობის თანხის განკარგვის პერიოდ(ებ)ი შესაძლოა იყოს:

ბ.ა) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს/წლებს და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.ბ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული არასრული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი, აგრეთვე, შესამოწმებელი პერიოდის საწყისი ან/და საბოლოო წელი არასრული კალენდარული წელია და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე არასრულ კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.გ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული ნებისმიერი თარიღ(ებ)ი - თუ შემოწმების შედეგები (გაანგარიშებები) იძლევა ამის შესაძლებლობას;

ბ.დ) „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პერიოდების კომბინაცია.

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს A-ს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 1 იანვარს, ხოლო მისი საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით საცალო ვაჭრობა (მაღაზია). ამასთან, პირის მიერ შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით.

დადგენილია, რომ შპს A-მ შესამოწმებელ პერიოდში შეიძინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა (შემდგომში - სმფ) 100 000 ლარის თვითღირებულებით, რაც ამავე პერიოდში სრულად რეალიზებულია. ამასთან, მიწოდებული სმფ-ის სარეალიზაციო თანხად დაფიქსირებულია 110 000 ლარი, რომელიც სრულადაა მიღებული. თავის მხრივ, სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, სრულად დაფარულია მომწოდებლის მიმართ არსებული 100 000 ლარის ვალდებულება, შესაბამისად, შესამოწმებელ პერიოდში ფიქსირდება მოგება 10 000 ლარის ოდენობით (110 000 - 100 000).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, საგადასახადო შემოწმების შედეგად მოხდა შემოსავლის გამოანგარიშება არაპირდაპირი მეთოდით. შედეგად, შესამოწმებელ პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა, ნაცვლად სააღრიცხვო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული 110 000 ლარისა, შეადგინა 160 000 ლარი (50 000 ლარით მეტი).

შეფასება და შედეგი

I - შემოწმების პროცესში გადასახადის გადამხდელს რეკომენდაციის სახით ეცნობება, რომ სათანადო მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარმოდგენის შემთხვევაში, არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხა - 50 000 ლარი, შესაძლოა, განხილულ იქნას შესაბამის პირზე გაცემულ პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად, სხვა სახის განაცემად ან ერთდროულად, პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად და სხვა სახის განაცემად. შესაბამისად:

ა) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **პროცენტიან სესხად** განხილვის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3

ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 58 823 ლარი (50 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 8 823 ლარი (58 823 * 0,15).

ბ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **უპროცენტო სესხად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 58 823 ლარი (50 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 8 823 ლარი (58 823 * 0,15);

გ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარის) **დივიდენდად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან:

- დივიდენდად დასაბეგრი ბაზა იქნება 52 631 ლარი (50 000/0,95), ხოლო დივიდენდზე გადასახდელი თანხა - 2 631 ლარი (52 631 * 0,05);

- მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 61 919 ლარი (52 631/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 9 287 ლარი (61 919 * 0,15).

დ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **ხელფასად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს. ამასთან, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 62 500 ლარი (50 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 12 500 ლარი (62 500 * 0,2).

ე) **„სხვა სახის განაცემი“** დაიბეგრება ამ განაცემის შინაარსის შესაბამისად.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა განმარტების წარუდგენლობის შემთხვევაში, არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხა - 50 000 ლარი, ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ **ხელფასად**. ამასთან, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 62 500 ლარი (50 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი 12 500 ლარი (62 500 * 0,2).

მაგალითი №2

ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის I თებერვალს დაინიშნა შპს A-ს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 1 იანვარს, ხოლო მისი საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით საცალო ვაჭრობა (მაღაზია). ამასთან, პირის მიერ შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით.

დადგენილია, რომ შპს A-მ შესამოწმებელ პერიოდში შეიძინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა (შემდგომში - სმფ) 100 000 ლარის თვითღირებულებით, რაც ამავე პერიოდში სრულად რეალიზებულია. ამასთან, მიწოდებული სმფ-ის სარეალიზაციო თანხად დაფიქსირებულია 80 000 ლარი, რომელიც სრულადაა მიღებული. თავის მხრივ, სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, ნაწილობრივ, კერძოდ, 80 000 ლარის ოდენობით დაფარულია მომწოდებლის მიმართ არსებული 100 000 ლარის ვალდებულება, შესაბამისად, მომწოდებლის მიმართ დარჩენილი ვალდებულების ნაშთი შეადგენს 20 000 ლარს. ამდენად, შპს A-ს სააღრიცხვო დოკუმენტების მიხედვით შესამოწმებელ პერიოდში ფიქსირდება ზარალი 20 000 ლარის ოდენობით (80 000-100 000).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, საგადასახადო შემოწმების შედეგად მოხდა შემოსავლის გამოანგარიშება არაპირდაპირი მეთოდით. შედეგად, შესამოწმებელ პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა, ნაცვლად სააღრიცხვო დოკუმენტებით დაფიქსირებული 80 000 ლარისა, შეადგინა 130 000 ლარი (50 000 ლარით მეტი).

შეფასება და შედეგი

I - შემოწმების პროცესში გადასახადის გადამხდელს რეკომენდაციის სახით ეცნობება, რომ სათანადო მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარმოდგენის შემთხვევაში, არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხა - 50 000 ლარი, შესაძლოა, განხილულ იქნას შესაბამის პირზე გაცემულ პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად, სხვა სახის განაცემად ან ერთდროულად, პროცენტიან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად და სხვა სახის განაცემად. შესაბამისად:

ა) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **პროცენტიან სესხად** განხილვის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3

ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 58 823 ლარი (50 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 8 823 ლარი (58 823 * 0,15);

ბ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **უპროცენტო სესხად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 58 823 ლარი (50 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 8 823 ლარი (58 823 * 0,15);

გ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) **დივიდენდად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან:

- დივიდენდად დასაბეგრი ბაზა იქნება 52 631 ლარი (50 000/0,95), ხოლო დივიდენდზე გადასახდელი თანხა - 2 631 ლარი (52 631 * 0,05);

- მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 61 919 ლარი (52 631/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 9 287 ლარი (61 919 * 0,15).

დ) არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის **ხელფასად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 62 500 ლარი (50 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 12 500 ლარი (62 500 * 0,2).

ე) **„სხვა სახის განაცემი“** დაიბეგრება ამ განაცემის შინაარსის შესაბამისად.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებებისა ან/და ახსნა განმარტების წარუდგენლობის შემთხვევაში, არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი სხვაობის თანხის (50 000 ლარი) დაბეგვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომპანიას

გააჩნია მომწოდებლის მიმართ ვალდებულება 20 000 ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის მიზნითაც შესაძლებელია საგადასახადო შემოწმების შემდეგი პერიოდისთვის უფლებამოსილმა პირმა დააბრუნოს კომპანიაში თანხა, რომელიც თავის მხრივ საგადასახადო შემოწმებით უკვე დაბეგრილი იქნება საშემოსავლო გადასახადით (როგორც ხელფასი) და ვეღარ მოხდება გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლა.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 2017 წლის 31 დეკემბერს, საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულად განხილული 50 000 ლარიდან, 20 000 ლარი ჩაითვლება გაცემულ **უპროცენტო სესხად**, ხოლო 30 000 ლარი ჩაითვლება გაცემულ **ხელფასად**. შედეგად:

- საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 37 500 ლარი (30 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი 7 500 ლარი (37 500 * 0,2);
- მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 23 529 ლარი (20 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 3 529 ლარი (23 529 * 0,15).

დანართი №6

მეთოდური მითითება

სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შედარებით, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილ ხარჯებში სხვაობის დაბეგვრის შესახებ (მეთოდური მითითება განსაზღვრავს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის საკითხებს)

ფაქტობრივი გარემოება

სააღრიცხვო დოკუმენტაციით ან/და სხვა მტკიცებულებებით დაფიქსირებულ ხარჯზე, ან ხარჯის ნაწილზე, გადასახადის გადამხდელმა ვერ წარმოადგინა პირველადი საგადასახადო დოკუმენტაცია, თუმცა, ხარჯის ფაქტობრივად გაწევის ნამდვილობა და ამ ხარჯის საჭიროება არ არის სადავო.

შეფასება და შედეგი

გადამხდელის მიერ გაცხადებულ და არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრულ ხარჯებს შორის დადებითი სხვაობა, ხარჯის ფაქტობრივად გაწევის პერიოდ(ებ)ში განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად **მოგების გადასახადით** დაბეგვრის ობიექტად. ამასთან, არაპირდაპირი მეთოდით განსაზღვრულ ხარჯად მიიჩნევა გადამხდელის მიერ გაცხადებული ხარჯის 75%, თუ გაწეული ხარჯის ოდენობის დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია.

შენიშვნა:

ა) მეთოდური მითითების გამოყენების მიზნით, შემოწმებისას დადგენილი უნდა იყოს, რომ სახეზეა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველი.

ბ) სხვაობის თანხის განკარგვის პერიოდ(ებ)ი შესაძლოა იყოს:

ბ.ა) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს/წლებს და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.ბ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული არასრული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი, აგრეთვე, შესამოწმებელი პერიოდის საწყისი ან/და საბოლოო წელი არასრული კალენდარული წელია და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე არასრულ კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.გ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული ნებისმიერი თარიღ(ებ)ი - თუ შემოწმების შედეგები (გაანგარიშებები) იძლევა ამის შესაძლებლობას;

ბ.დ) „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პერიოდების კომბინაცია.

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს A-ს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. ამასთან, საწარმო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 1 იანვარს, ხოლო მისი საქმიანობის საგანია სამშენებლო მომსახურების გაწევა.

დადგენილია, რომ 2017 წლის საანგარიშო პერიოდში შპს A-მ შეასრულა ერთი პროექტი. კერძოდ, შპს B-ს აუშენა კომერციული ფართი და აღნიშნულთან დაკავშირებით 2017 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. პროექტის ფარგლებში საწარმომ გამოიყენა 5 ტონა სამშენებლო არმატურა, რომელიც შეიძინა ფიზიკური პირისგან. ამასთან, აღნიშნული ოპერაციის მიხედვით წარმოქმნილი დავალიანება (არმატურის ღირებულება) 50 000 ლარი, 2017 წლის 1 აგვისტოს, შპს A-მ სრულად აანაზღაურა ნაღდი ანგარიშსწორებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, კომპანიას გახარჯული 5 ტონა არმატურის შეძენის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არ გააჩნია. **შეფასება და შედეგი** საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. თუმცა, აღწერილ გარემოებაში, დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯის მოგების გადასახადით დაბეგვრისას გასათვალისწინებელია, რომ ხარჯის ფაქტობრივად გაწევის ნამდვილობა და ამ ხარჯის საჭიროება არ არის სადავო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად უნდა დაკვალიფიცირდეს გადამხდელის მიერ გაცხადებული ხარჯის 75%.

შესაბამისად, 2017 წლის 1 აგვისტოს მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება 12 500 ლარი (50 000 - (50 000 * 75%). შედეგად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 14 705 ლარი (12 500/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 2 206 ლარი (14 705 * 0,15).

დანართი №7

მეთოდური მითითება

სააღრიცხვო დოკუმენტაციის არარსებობისას, შემოწმების არაპირდაპირი მეთოდით გამოანგარიშებული განკარგვადი თანხების დაბეგვრის შესახებ (მეთოდური მითითება განსაზღვრავს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებით დაბეგვრის საკითხებს)

ფაქტობრივი გარემოება

არაპირდაპირი მეთოდით გამოანგარიშებული შემოსავლების და ხარჯების, საგადასახადო შემოწმების პროცესში ჩატარებული სალაროს ინვენტარიზაციის გათვალისწინებით, აგრეთვე, პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის ინფორმაციის ან/და სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით, მიღებულია განკარგვადი თანხა, რომელზეც გადასახადის გადამხდელს მინიჭებული არ აქვს კვალიფიკაცია.

შეფასება და შედეგი

I - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა განმარტების წარდგენის შემთხვევაში, მისი განმარტების შესაბამისად, განკარგვადი თანხა

დაკვალიფიცირდება, როგორც შესაბამისი პერიოდის ბოლოს, შესაბამის პირზე გაცემული: ა) პროცენტთან ან უპროცენტო სესხი;

ბ) დივიდენდი;

გ) ხელფასი;

შენიშვნა: გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ან/და ახსნა-განმარტება შეიძლება მოიცავდეს როგორც ჩამოთვლილი ვარიანტების კომბინაციას, ისე შესაბამისი თანხის (თანხის ნაწილის) სხვა სახის განაცემად დაკვალიფიცირების შემთხვევას.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებების ან/და ახსნა განმარტების წარუდგენლობის, აგრეთვე, განკარგვადი თანხის განკარგვის თაობაზე სხვა სახის ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული თანხა ჩაითვლება შესაბამისი პერიოდის ბოლოს, საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ **ხელფასად**.

შენიშვნა:

ა) მეთოდური მითითების გამოყენების მიზნით, შემოწმებისას დადგენილი უნდა იყოს, რომ სახეზეა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების საფუძველი.

ბ) სხვაობის თანხის განკარგვის პერიოდ(ებ)ი შესაძლოა იყოს:

ბ.ა) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს/წლებს და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.ბ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული არასრული კალენდარული წლ(ებ)ის ბოლო თარიღ(ებ)ი - თუ შესამოწმებელი პერიოდი, აგრეთვე, შესამოწმებელი პერიოდის საწყისი ან/და საბოლოო წელი არასრული კალენდარული წელია და განკარგვადი თანხა წარმოიშვა ამავე არასრულ კალენდარულ წელს/წლებში;

ბ.გ) შესამოწმებელ პერიოდში მოქცეული ნებისმიერი თარიღ(ებ)ი - თუ შემოწმების შედეგები (გაანგარიშებები) იძლევა ამის შესაძლებლობას;

ბ.დ) „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პერიოდების კომბინაცია.

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს A-ს 2017 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2017 წლის 1 იანვარს, ხოლო მისი საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით საცალო ვაჭრობა (მაღაზია). ამასთან, პირის მიერ შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით.

დადგენილია, რომ შპს A-მ შესამოწმებელ პერიოდში შეიძინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა (შემდგომში - სმფ) 100 000 ლარის თვითღირებულებით, რაც ამავე პერიოდში სრულად რეალიზებულია (შესამოწმებელი პერიოდის ბოლოს არ ფიქსირდება სმფ-ის ნაშთი).

შპს A-ს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ნაწარმოები არ აქვს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, საგადასახადო შემოწმების შედეგად მოხდა შპს A-ს შემოსავლის გამოანგარიშება არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, არსებული პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის ინფორმაციის, მესამე პირებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის ან/და სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით.

შედეგად, შესამოწმებელ პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 130 000 ლარი. ამასთან, შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ მომწოდებლის მიმართ არსებული დავალიანება - 100 000 ლარი, შესამოწმებელ პერიოდში დაფარულია სრულად.

შეფასება და შედეგი

I - შემოწმების პროცესში გადასახადის გადამხდელს რეკომენდაციის სახით ეცნობება, რომ სათანადო მტკიცებულებების ან/და ახსნა-განმარტების წარმოდგენის შემთხვევაში, განკარგვადი თანხა - 30 000 ლარი (130 000-100 000), შესაძლოა განხილულ იქნას შესაბამის პირზე გაცემულ პროცენტთან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად ან სხვა სახის განაცემად, ან ერთდროულად, პროცენტთან სესხად, უპროცენტო სესხად, დივიდენდად, ხელფასად და სხვა სახის განაცემად. შესაბამისად:

ა) დარჩენილი განკარგვადი თანხის (30 000 ლარი) **პროცენტთან სესხად** განხილვის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 35 294 ლარი (30

000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 5 294 ლარი (35 294 * 0,15).

ბ) დარჩენილი განკარგავდი თანხის (30 000 ლარი) **უპროცენტო სესხად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 35 294 ლარი (30 000/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი - 5 294 ლარი (35 294 * 0,15);

გ) დარჩენილი განკარგავდი თანხის (30 000 ლარი) **დივიდენდად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან: დივიდენდით დასაბეგრი ბაზა იქნება 31 578 ლარი (30 000/0,95), ხოლო დივიდენდზე გადასახდელი თანხა 1 578 ლარი (31 578 * 0,05);

მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 37 151 ლარი (31 578/0,85), ხოლო კუთვნილი მოგების გადასახადი 5 572 ლარი (37 151 * 0,15).

დ) დარჩენილი განკარგავდი თანხის (30 000 ლარი) **ხელფასად** განხილვის შემთხვევაში, თანხა გაცემულად ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს, ამასთან, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 37 500 ლარი (30 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 7 500 ლარი (37 500 * 0,2).

ე) **„სხვა სახის განაცემი“** დაიბეგრება ამ განაცემის შინაარსის შესაბამისად.

II - გადასახადის გადამხდელის მიერ შესაბამისი მტკიცებულებებისა ან/და ახსნა განმარტების წარუდგენლობის შემთხვევაში, დარჩენილი განკარგავდი თანხა 30 000 ლარი ჩაითვლება 2017 წლის 31 დეკემბერს საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ **ხელფასად**, ამასთან, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა იქნება 37 500 ლარი (30 000/0,8), ხოლო კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი - 7 500 ლარი (37 500 * 0,2).



ვებგვერდი, 02/12/2021
სარეგისტრაციო კოდი
480140000.09.001.016684

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**„საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების
გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის
შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს თბილისის 2021 წლის 7 ივლისის შეთანხმება „საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

კახაბერ კუჭავა
თბილისი,
1 დეკემბერი 2021 წ.
N1041-VIმს-Xმპ

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №29355
2021 წლის 20 სექტემბერი ქ. თბილისი**

**„გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი
კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“
შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, „სსიპ - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 6¹ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქცია, №1 დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შიდა ინსტრუქციის მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით, 2021 წლის 20 სექტემბერს განხორციელდეს გადასახადის გადამხდელისთვის მათი სიდიდის შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრა.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნეს 2021 წლის პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში გადასახადის გადამხდელთა სიდიდის შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრისთვის გამოყენებული საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მონაცემები, რომლებშიც გაითვალისწინება 2021 წლის 20 სექტემბრამდე განხორციელებული ცვლილებები და დაზუსტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 20 სექტემბრიდან.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

დანართი №1

**„გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი
კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“
შიდა ინსტრუქცია**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

„გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქციის (შემდგომში – ინსტრუქცია) მიზანია, გადასახადების ადმინისტრირებისთვის, განსაზღვროს გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, აგრეთვე განსაზღვრული კატეგორიის გაუქმებისა და აღრიცხვის წესი.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 6¹ მუხლით გათვალისწინებულ გადასახადის გადამხდელთა სიდიდის შესაბამისი კატეგორიების განსაზღვრასთან, აგრეთვე, განსაზღვრული კატეგორიების გაუქმებასა და აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 3. სიდიდის კატეგორიის განსაზღვრა

1. სიდიდის კატეგორიის განსაზღვრა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს მიერ, კონკრეტული პერიოდისათვის, გადასახადის გადამხდელის სიდიდის შესაბამის კატეგორიაში მოქცევას:

ა) პროგრამულად – გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – გასს) შესაბამის მოდულში, ამ ინსტრუქციის მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) ადამიანური რესურსის ჩართულობით – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. სიდიდის კატეგორია შეიძლება იყოს:

ა) მსხვილი;

ბ) საშუალო;

გ) მცირე.

3. მიუხედავად ამ ინსტრუქციის მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული დებულებებისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, ცალკეულ გადასახადის გადამხდელ(ებ)ს შესაძლებელია, ამ ინსტრუქციისგან განსხვავებული წესითა და ვადით განესაზღვროს სიდიდის შესაბამისი კატეგორია.

4. ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის გადასახადის გადამხდელი, შესაბამისი კატეგორიის მიხედვით, მოიხსენიება როგორც „მსხვილი გადამხდელი“, „საშუალო გადამხდელი“ ან „მცირე გადამხდელი“.

მუხლი 4. სიდიდის კატეგორიის გაუქმება

გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის გაუქმება გულისხმობს გადასახადის გადამხდელისთვის განსაზღვრული კატეგორიის მოხსნას:

ა) პროგრამულად – გასს-ის შესაბამის მოდულში – ამ ინსტრუქციის მე-6-მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) ადამიანური რესურსის ჩართულობით – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 5. სიდიდის კატეგორიების აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელების სიდიდის შესაბამისი კატეგორიების აღრიცხვა გულისხმობს, თითოეული გადასახადის გადამხდელისთვის კატეგორიის განსაზღვრის შემდეგ ამ კატეგორიის ასახვას გასს-ის შესაბამის მოდულში.

თავი II. საქმისწარმოება

მუხლი 6. მსხვილი გადამხდელი

1. მსხვილი გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრისთვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ის ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 80 000 000 ლარზე.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმისა, მსხვილი გადამხდელი შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრისთვის წინა 12 კალენდარული თვის განმავლობაში ექსპორტის/რეექსპორტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულება, ჯამურად, ტოლია ან მეტია 40 000 000 ლარზე;

ბ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის წლის წინა კალენდარული წლის მიხედვით დეკლარირებული ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის (გარდა მიწისა) ღირებულება ტოლია ან მეტია 150 000 000 ლარზე;

გ) პირი, რომელიც ეწევა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზირებულ საბანკო საქმიანობას;

დ) პირი, რომელიც ეწევა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დარეგულირებულ საქმიანობას (გარდა წამახალისებელი, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვების ფარგლებში

განხორციელებული საქმიანობისა) და მის მიერ მსხვილი გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის განმავლობაში, ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების/მოსაკრებლების თანხების ჯამი ტოლია ან მეტია 1 500 000 ლარზე;

ე) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამსა და საბაჟო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამს შორის უმაღლესი ტოლია ან მეტია 20 000 000 ლარზე;

ვ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით წარმოდგენილ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციების შესაბამისად, დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირების საშუალო რაოდენობა ტოლია ან მეტია 1 000-ზე.

3. მსხვილი გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრა წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტების რიგითობის დაცვით. ამასთან, თუ ზედა პუნქტით ან ქვეპუნქტით პირს უკვე განესაზღვრა მსხვილი კატეგორია, გასს-ის შესაბამის მოდულში მისი მონაცემების დამუშავება, შემდგომი ქვეპუნქტ(ებ)ის მიზნებისათვის, აღარ ხორციელდება.

4. გადასახადის გადამხდელს მსხვილი კატეგორია განესაზღვრება:

ა) ყოველ 2 (ორი) წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში, თუ პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ერთ-ერთ კრიტერიუმს;

ბ) რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ პირ(ებ)ს, რეორგანიზაციის დასრულებისთანავე, თუ რეორგანიზაციის დაწყებამდე რეორგანიზაციის სულ მცირე ერთი მხარე იყო მსხვილი გადამხდელი.

5. გადასახადის გადამხდელისთვის მსხვილი გადამხდელის კატეგორიის გაუქმების საფუძვლებია:

ა) გარდაცვალება;

ბ) რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრაციის გაუქმება;

გ) ლიკვიდაცია.

6. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადასახადის გადამხდელისთვის მსხვილი გადამხდელის კატეგორია ექვემდებარება გაუქმებას ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვერცერთ კრიტერიუმს.

7. მსხვილ გადამხდელთა კატეგორიის განსაზღვრა არ ხორციელდება:

ა) სახელმწიფოსთან მიმართებაში;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებაში;

გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში;

დ) ამ პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან მიმართებაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტების იდენტიფიცირება ხორციელდება „გადასახადის გადამხდელების შესახებ მონაცემთა მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 თებერვლის №2665 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელების შესახებ მონაცემთა მართვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად.

9. გადასახადის გადამხდელთათვის განსაზღვრული მსხვილი გადამხდელის კატეგორიების აღრიცხვა წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. საშუალო გადამხდელი

1. საშუალო გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ის ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 1 000 000 ლარზე.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმისა, საშუალო გადამხდელი შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის განმავლობაში ექსპორტის/რეექსპორტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ღირებულება, ჯამურად, ტოლია ან მეტია 100 000 ლარზე;

ბ) პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით საგადასახადო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამსა და საბაჟო დეკლარაცი(ებ)ის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ჯამს შორის უმაღლესი ტოლია ან მეტია 100 000 ლარზე.

3. საშუალო გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრა წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების რიგითობის დაცვით. ამასთან, თუ ზედა პუნქტით ან ქვეპუნქტით პირს უკვე განესაზღვრა საშუალო კატეგორია, გასს-ის შესაბამის მოდულში მისი მონაცემების დამუშავება, შემდგომი ქვეპუნქტ(ებ)ის მიზნებისათვის, აღარ ხორციელდება.

4. გადასახადის გადამხდელს საშუალო კატეგორია განესაზღვრება ყოველი კალენდარული თვის პირველიდან 15 რიცხვამდე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე ერთ-ერთ კრიტერიუმს და, ამავდროულად, მას არ განესაზღვრა მსხვილი გადამხდელის კატეგორია.

5. გადასახადის გადამხდელისთვის საშუალო გადამხდელის კატეგორიის გაუქმების საფუძველებია:

ა) გარდაცვალება;

ბ) რეორგანიზაციის დასრულება (მათ შორის, რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრაციის გაუქმება);

გ) ლიკვიდაცია.

6. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადასახადის გადამხდელისთვის საშუალო გადამხდელის კატეგორია ექვემდებარება გაუქმებას:

ა) წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვერცერთ კრიტერიუმს;

ბ) თუ მას განესაზღვრა მსხვილი გადამხდელის კატეგორია.

7. გადასახადის გადამხდელთათვის განსაზღვრული საშუალო გადამხდელის კატეგორიების აღრიცხვა წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. მცირე გადამხდელი

1. მცირე გადამხდელია პირი, რომელსაც არ განესაზღვრა მსხვილი ან საშუალო გადამხდელის კატეგორია.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობისა, გადასახადის გადამხდელს მცირე კატეგორია განესაზღვრება შემდეგი წესით:

ა) ახლად დარეგისტრირებულ პირს – რეგისტრაციისთანავე;

ბ) რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ პირს, რეორგანიზაციის დასრულებისთანავე, გარდა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში, თუ მას უუქმდება საშუალო გადამხდელის კატეგორია და არ განესაზღვრება მსხვილი გადამხდელის კატეგორია;

დ) ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, პირველიდან 15 ივლისამდე პერიოდში, თუ მას უუქმდება მსხვილი გადამხდელის კატეგორია და არ განესაზღვრება საშუალო გადამხდელის კატეგორია.

3. გადასახადის გადამხდელისთვის მცირე გადამხდელის კატეგორიის გაუქმების საფუძველებია:

ა) გარდაცვალება;

ბ) რეორგანიზაციის დასრულება (მათ შორის, რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრაციის გაუქმება);

გ) ლიკვიდაცია.

4. გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, გადასახადის გადამხდელისთვის მცირე გადამხდელის კატეგორია ექვემდებარება გაუქმებას საშუალო ან მსხვილი გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრისთანავე.

5. გადასახადის გადამხდელთათვის განსაზღვრული მცირე გადამხდელის კატეგორიების აღრიცხვა წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის შესაბამისად.

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №35390
2021 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი**

**„ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების
განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708
ბრძანებაში (ნაწილი I) ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანების (ნაწილი I) პირველ პუნქტს დავამატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) „კრედიტორული დავალიანების შესახებ“ №8 დანართის შესაბამისად.“.

2. „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებას დავამატოს:

ა) დანართი №8 თანდართული რედაქციით.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

„დანართი №8

მეთოდური მითითება „კრედიტორული დავალიანების შესახებ“

კრედიტორული დავალიანების დაფარვა სააღრიცხვო დოკუმენტაციით

ფაქტობრივი გარემოება

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა, რომ იმპორტირებულ საქონელზე გადასახადის გადამხდელს არა აქვს შესაბამისი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებლისთვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ჩეკი, ქვითარი და ა.შ.), თუმცა გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული საქონლის უსასყიდლოდ მიღების ან/და მისთვის დავალიანების პატიების ფაქტი დადგენილი არ არის.

მოცემულ პირობებში, შემოწმებისთვის წარდგენილია:

- საბაჟო დეკლარაცია.
- ინვოისი.
- სალაროს გასავლის ორდერი.

წერილობითი ახსნა-განმარტება შეძენილი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებლისთვის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის ნამდვილობის თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, დამატებითი მტკიცებულების სახით შემოწმებისთვის წარდგენილია:

ვარიანტი I – სამეურნეო ოპერაციის მხარეთა შორის გაფორმებული და დადასტურებული შედარების აქტი არარეზიდენტი მომწოდებლისათვის საქონლის ღირებულების თანხის სრულად გადახდის თაობაზე.

ვარიანტი II – საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა.

ვარიანტი III – როგორც პირველი, ისე მეორე ვარიანტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (შედარების აქტი და საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა).

შეფასება და შედეგი

ვარიანტი I – იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შესაბამისი საქონლის შეძენა-იმპორტი, აგრეთვე, ვინაიდან დამატებითი მტკიცებულების სახით გადასახადის გადამხდელმა წარადგინა სამეურნეო ოპერაციის მხარეთა შორის გაფორმებული და დადასტურებული შედარების აქტი დავალიანების სრულად გადახდის თაობაზე, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა, შედარების აქტის მონაცემის მიხედვით, ჩაითვლება ანაზღაურებულად.

ვარიანტი II – იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შესაბამისი საქონლის შეძენა-იმპორტი, აგრეთვე, ვინაიდან დამატებითი მტკიცებულების სახით გადასახადის გადამხდელმა წარადგინა საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა, შესაბამისად, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა, ამავე საბაჟო დეკლარაციაში ასახული მონაცემის მიხედვით, ჩაითვლება ანაზღაურებულად.

ვარიანტი III – იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შესაბამისი საქონლის შეძენა-იმპორტი, აგრეთვე, დამატებით წარდგენილია პირველ და მეორე ვარიანტში მითითებული დოკუმენტაცია, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა ჩაითვლება ანაზღაურებულად, შედარების აქტისა და საბაჟო დეკლარაციის (რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა) მონაცემების მიხედვით.

ამასთან, შედარების აქტსა და საბაჟო დეკლარაციას (რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა) შორის თანხობრივი სხვაობის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება შედარების აქტის მონაცემი.

შენიშვნა:

- საქონლის ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საქონლის საბაზრო ფასი ან/და კრედიტ-ნოტა (ფასდათმობა), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- თუ საგადასახადო შემოწმების დასრულების შემდგომ, საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიების ფარგლებში, ცნობილი გახდება, რომ არარეზიდენტ მომწოდებელზე გადასახდელი თანხა/თანხის ნაწილი (რომელიც ამ მეთოდური მითითების შესაბამისად დაკვალიფიცირდა ანაზღაურებულად) აუნაზღაურებელია, ჩაითვლება საწარმოს ანგარიშვალდებულ პირზე, ასეთი ფაქტის გამოვლენის მომენტში, გაცემულად.

- „იმპორტი“ – იგულისხმება, საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევა.

მაგალითი №1

ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს „A“-ს 2020 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმოს საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით სავაჭრო ვაჭრობა (მაღაზია). ამასთან, პირის მიერ შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. დადგენილია, რომ შპს „A“-მ შესამოწმებელ პერიოდში, იმპორტის სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში, არარეზიდენტი მომწოდებელი B-სგან შეიძინა 100 000 ლარის თვითღირებულების საქონელი. ამასთან, იმპორტირებულ საქონელზე გადასახადის გადამხდელს არა აქვს შესაბამისი საქონლის ღირებულების თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ჩეკი, ქვითარი და ა.შ.). თუმცა, შემოწმებისთვის წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია, ინვოისი და სალაროს გასავლის ორდერი.

მოცემულ პირობებში შპს „A“-ს მიერ დამატებით წარდგენილია ახსნა-განმარტება, შეძენილი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებელი B-სთვის სრულად გადახდის ნამდვილობის თაობაზე და სამეურნეო ოპერაციის მხარეთა შორის გაფორმებული და დადასტურებული შედარების აქტი არარეზიდენტი მომწოდებლისათვის საქონლის ღირებულების თანხის სრულად გადახდის (დაფარვის) თაობაზე.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შპს „A“-ს მიერ საქონლის შეძენა-იმპორტი, აგრეთვე, ვინაიდან

დამატებითი მტკიცებულების სახით გადასახადის გადამხდელმა წარადგინა სამეურნეო ოპერაციის მხარეთა შორის გაფორმებული და დადასტურებული შედარების აქტი დავალიანების სრულად გადახდის თაობაზე, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებელი B-სთვის გადასახდელი თანხა, შედარების აქტის მონაცემის მიხედვით (100 000 ლარის ოდენობით), ჩაითვლება ანაზღაურებულად.

მაგალითი №2

ფაქტობრივი გარემოება

პირობები იგივეა, რაც პირველ მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ დამატებითი მტკიცებულების სახით გადასახადის გადამხდელმა წარადგინა საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე 80 000 ლარის ოდენობით ნაღდი ფულის გატანა.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შპს „A“-ს მიერ საქონლის შეძენა-იმპორტი, აგრეთვე, ვინაიდან დამატებითი მტკიცებულების სახით გადასახადის გადამხდელმა წარადგინა საბაჟო დეკლარაცია, (რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის გატანა), იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებელი B-სთვის გადასახდელი თანხა, ამავსაბაჟო დეკლარაციაში ასახული მონაცემის მიხედვით (80 000 ლარის ოდენობით), ჩაითვლება ანაზღაურებულად.

კრედიტორული დავალიანების დაფარვა არაპირდაპირი მეთოდით

ფაქტობრივი გარემოება

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა, რომ იმპორტირებულ საქონელზე გადასახადის გადამხდელს არა აქვს შესაბამისი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებლისთვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ჩეკი, ქვითარი და ა.შ.), თუმცა გადასახადის გადამხდელის მიერ აღნიშნული საქონლის უსასყიდლოდ მიღების ან/და დავალიანების პატიების ფაქტი დადგენილი არ არის.

მოცემულ პირობებში, შემოწმებისთვის წარდგენილია მხოლოდ:

- საბაჟო დეკლარაცია.
- ინვოისი.
- სალაროს გასავლის ორდერი.
- წერილობითი ახსნა-განმარტება შეძენილი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებლისთვის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის ნამდვილობის თაობაზე.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შესაბამისი საქონლის შეძენა-იმპორტი, ასევე, ვინაიდან აღნიშნულის პარალელურად, როგორც მტკიცებულება, მოპოვებულია გადასახადის გადამხდელის წერილობითი ახსნა-განმარტება შესაბამისი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის ნამდვილობის თაობაზე, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის საინვოისო ღირებულების შესაბამისად გადასახდელი თანხის (ან თანხის ნაწილის) 75% ჩაითვლება ანაზღაურებულად, თუ არარეზიდენტისთვის გადახდილი თანხის ან თანხის ნაწილის ოდენობის დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია.

მაგალითი №3

ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს „A“-ს 2020 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმოს საქმიანობის საგანია საყოფაცხოვრებო საქონლით საცალო ვაჭრობა (მაღაზია). ამასთან, პირის მიერ შემოსავლების მიღება და ხარჯების გაწევა ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. დადგენილია, რომ შპს „A“-მ შესამოწმებელ პერიოდში, იმპორტის სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში, არარეზიდენტი მომწოდებელი B-სგან შეიძინა 100 000 ლარის თვითღირებულების საქონელი. ამასთან, იმპორტირებულ საქონელზე გადასახადის გადამხდელს არა აქვს შესაბამისი საქონლის ღირებულების თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ჩეკი, ქვითარი და ა.შ.), თუმცა, შემოწმებისთვის წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია, ინვოისი და სალაროს გასავლის ორდერი. ასევე, შპს „A“-ს მიერ დამატებით წარდგენილია ახსნა-განმარტება, გადახდის პირობით შეძენილი საქონლის ღირებულების თანხის არარეზიდენტი მომწოდებელი B-სთვის სრულად გადახდის ნამდვილობის თაობაზე.

მოცემულ პირობებში შპს „A“-ს მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მტკიცებულების სახით, შეძენილი საქონლის ღირებულების თანხის გადახდის დასადასტურებლად სხვა რაიმე დოკუმენტი (მაგალითად, შედარების აქტი, საბაჟო დეკლარაცია, რომლითაც დასტურდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნადღი ფულის გატანა) წარდგენილი არ არის.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითიც დადასტურებულია შპს „A“-ს მიერ შესაბამისი საქონლის შეძენა-იმპორტი, ასევე, ვინაიდან აღნიშნულის პარალელურად, როგორც მტკიცებულება, მოპოვებულია გადასახადის გადამხდელის წერილობითი განმარტება შესაბამისი დავალიანების სრულად დაფარვის ნამდვილობის თაობაზე, შპს „A“-ს მიერ იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებელი B-სთვის საინვოისო ღირებულების შესაბამისად გადასახდელი თანხის 75% (75 000 ლარის ოდენობით) ჩაითვლება ანაზღაურებულად.

კრედიტორული დავალიანების აღიარება-დაფარვა ექსპერტიზის დასკვნით

ფაქტობრივი გარემოება

საგადასახადო შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა კომერციული ფართის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც, მისი განმარტებით, შეძენილია სამშენებლო მასალა, თუმცა, აღნიშნულის თაობაზე შემოწმებისთვის წარდგენილია მხოლოდ: სალაროს გასავლის ორდერი; ექსპერტიზის დასკვნა შესაბამისი კომერციული ფართის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალის რაოდენობისა და ამ მასალის შესაბამისი პერიოდის ღირებულების შესახებ; წერილობითი ახსნა-განმარტება შესაბამისი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის ნამდვილობის თაობაზე.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა სალაროს გასავლის ორდერი და ექსპერტიზის დასკვნა კომერციული ფართის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალის შესაბამისი რაოდენობისა და ამ მასალის შესაბამისი პერიოდის ღირებულების შესახებ, ასევე, ვინაიდან აღნიშნულის პარალელურად, როგორც მტკიცებულება, მოპოვებულია გადასახადის გადამხდელის წერილობითი ახსნა-განმარტება შესაბამისი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის ნამდვილობის თაობაზე, გადასახადის გადამხდელის მიერ სამშენებლო მასალაზე მომწოდებლისათვის გადასახდელი თანხის 75% ჩაითვლება ანაზღაურებულად, თუ სამშენებლო მასალის მომწოდებელზე გადახდილი თანხის ან თანხის ნაწილის ოდენობის დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია.

მაგალითი №4

ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 1 თებერვალს დაინიშნა შპს „A“-ს 2020 წლის საანგარიშო პერიოდის საგადასახადო შემოწმება. საწარმოს საქმიანობის საგანია სამშენებლო მომსახურება. დადგენილია, რომ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში შპს „A“-მ შეასრულა ერთი სამშენებლო პროექტი. კერძოდ, შპს „B“-ს აუშენა კომერციული ფართი და აღნიშნულთან დაკავშირებით 2020 წლის 1 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. პროექტის ფარგლებში საწარმომ გამოიყენა 10 ტონა (50 000 ლარის ღირებულების) სამშენებლო არმატურა, რომელიც შეიძინა ფიზიკური პირისგან. კომპანიას გახარჯული 10 ტონა არმატურის შეძენის დამადასტურებელი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არ გააჩნია.

ამასთან, შეძენილ საქონელზე გადასახადის გადამხდელს ასევე არა აქვს შესაბამისი საქონლის ღირებულების თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალება, ჩეკი, ქვითარი და ა.შ.). თუმცა, შემოწმებისთვის წარდგენილია სალაროს გასავლის ორდერი და ექსპერტიზის დასკვნა შესაბამისი კომერციული ფართის ასაშენებლად საჭირო არმატურის რაოდენობისა და ამ მასალის შესაბამისი პერიოდის ღირებულების შესახებ.

შეფასება და შედეგი

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა სალაროს გასავლის ორდერი და ექსპერტიზის დასკვნა შესაბამისი კომერციული ფართის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო არმატურის რაოდენობისა და ამ მასალის შესაბამისი პერიოდის ღირებულების შესახებ, ასევე, ვინაიდან აღნიშნულის პარალელურად, როგორც მტკიცებულება, მოპოვებულია გადასახადის გადამხდელის წერილობითი ახსნა-განმარტება შესაბამისი დავალიანების სრულად დაფარვის ნამდვილობის თაობაზე, შპს „A“-ს მიერ შეძენილ 10 ტონა არმატურაზე ფიზიკური პირისათვის გადასახდელი თანხის 75% (37 500 ლარის ოდენობით) ჩაითვლება ანაზღაურებულად.

**რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა**

კითხვა:

მომწოდებელმა დროებით სარგებლობაში გადმოგვცა ძირითადი საშუალება და გამოგვინერა ზედნადები, რომელსაც შენიშვნაში უნერია „უსასყიდლოდ მიწოდება“.

რამდენად სწორია ამ ოპერაციაზე ზედნადების ატვირთვა ან დროებით სარგებლობაში როგორ მივიღოთ აქტივები, რომ საგადასახადომ სწორ ოპერაციად ჩათვალოს და არ დაგვარიცხოს ზედმეტი გადასახადები?

პასუხი:

თუ საუბარია შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადებზე (და არა მიწოდების ზედნადებზე), ამ ოპერაციაზე ზედნადების გამოწერა მართებულია და აუცილებელიცაა. რაც შეეხება დანიშნულებას, უმჯობესია, თუ იგი რაიმე ფორმით დაკორექტირდება, რადგან საგადასახადო პრობლემები, პირველ რიგში, მომწოდებელს შეექმნება - უსასყიდლო მიწოდება დღე-ით დასაბეგრი ოპერაციაა.

უსასყიდლოდ მიღებული ქონება (თუ მიმღები „ესტონური მოდელის“ სანარმოა) მიმღებმა უნდა აღრიცხოს ერთობლივ შემოსავალში საბაზრო ფასით, გაზარდოს მოგება და როცა იგი ამ მოგებას დივიდენდად გაანაწილებს, სწორედ მაშინ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა. მანამდე მიმღებს საგადასახადო ვალდებულებები ამ ოპერაციაზე არ წარმოეშობა. ხოლო ზედნადების დაკორექტირების შემთხვევაში მას არც მოგება და, შესაბამისად, არც მოგების გადასახადის გადახდა აღარ მოუწევს.

კითხვა:

სანარმოს შიდა ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა საქონლის დანაკლისი. ერთი მხრივ, დღგ-ს დეკლარაციის დანაკლისის გრაფაში აღვრიცხავთ შესაბამის თანხებს, მაგრამ იმავე პერიოდში მოგებითაც ვბეგრავთ და შესაბამისად, მოგების დეკლარაციაშიც ვაჩვენებთ.

გვავიწმინდებს: რამდენად სწორია ჩვენი მოქმედება, ასეთი ოპერაციისას საგადასახადო ინვენტარიზაციის დანაკლისი მხოლოდ მოგების გადასახადის ნაწილში აღვრიცხება, თუ ორივე ერთად?

პასუხი:

თქვენი მოქმედება სწორია - ეს ოპერაცია დღგ-ითაც დაიბეგრება და მოგების გადასახადითაც. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება თანამშრომლის მიერ საქონლის მითვისების ფაქტი, შემოსავლების სამსახურის მიდგომით, დანაკლისი შესაძლოა დაიბეგროს დღგ-ითა და საშემოსავლო გადასახადით.

კითხვა:

ვარ მცირე მეწარმე და დავდექი დღგ-ს გადამხდელად. როგორ შეიძლება ნაშთების ჩათვლა და აქვე, შემიძლია თუ არა ჩემი ხელსაწყოების და დაზგების დღგ-ს ჩათვლა?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, „2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რე-

გისტრაციის ვალდებულების დადგომისას ვალდებულია აღრიცხოს ამ მომენტისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი.

3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთზე მიიღოს დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა ამ კოდექსით განსაზღვრული წესის შესაბამისად, თუ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია“.

ამ მუხლის მიხედვით, თქვენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტში ვალდებული ხართ, აღრიცხოთ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი და თუ ამ საქონელზე გაქვთ ჩათვლის დოკუმენტები (ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.), შეგიძლიათ ამ ნაშთის პრო-პორციულად ჩაითვალოთ დღგ.

რაც შეეხება ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლას, უნდა იხელმძღვანელოთ „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 731-ე და 732-ე მუხლებით.

კითხვა:

რეზიდენტი სანარმო საქართველოში ქმნის სოფტ პროგრამებს და ელექტრონული სახით ყიდის საზღვარგარეთ. გთხოვთ დაგვეხმაროთ დაბეგვრის რეჟიმის განსაზღვრაში და ასევე, გვანტერესებს რა გადასახადები წარმოიშობა ამ დროს?

პასუხი:

საშემოსავლო/მოგების გადასახადითა და დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმები ხშირად იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არის ამ პროგრამების მიმღები - სამეწარმეო თუ არასამეწარმეო სუბიექტი, აგრეთვე იმაზე, თუ რა სტატუსი აქვს მიმწოდებელ სანარმოს. თუ ამ ნიუანსებს დააზუსტებთ, შეგვეძლება უფრო მკაფიო პასუხის გაცემა. საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათების გასაცნობად, გთხოვთ, გაეცნოთ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ვირტუალური ზონის პირისა და საერთაშორისო კომპანიის სტატუსებს.

კითხვა:

ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, თავისი მოყვანილი ყურძნისაგან აკეთებს ღვინოს და ყიდის. შემოსავალი საკუთარი ყურძნით წარმოებული ღვინის რეალიზაციიდან აჭარბებს 200,000 ლარს. ამასთანავე, შეძენილი ყურძნითაც აწარმოებს ღვინოს და ახდენს რეალიზაციას. გთხოვთ განგვიმარტოთ რა გადასახადებით დაიბეგრება?

პასუხი:

ეს ფიზიკური პირი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით და დღგ-ით. აგრეთვე, შესაბამისი ქონების არსებობის შემთხვევაში - ქონების გადასახადითაც.

კითხვა:

სატრანსპორტო კომპანია ახორციელებს ჩეხეთიდან თბილისში სამედიცინო ტვირთის გადმოზიდვას. ტვირთი განბაჟდა სარფში. ახალი რეგულაციებით დაიბეგრება თუ არა ჩეხეთიდან სარფამდე სატრანსპორტო მომსახურება დღგ-ით?

პასუხი:

თუ ამ მომსახურების ღირებულება შევა საქონლის საიმპორტო ღირებულებაში, მაშინ იგი ცალკე დღგ-ით აღარ დაიბეგრება.

კითხვა:

კომპანია ეწევა სალიზინგო საქმიანობას და აქვს ორი ტიპის სალიზინგო ხელშეკრულებები: ლიზინგი გამოსყიდვის პირობით და მის გარეშე. 2021 წლის დღგ-ის ცვლილებიდან გამომდინარე, შეეცვლება თუ არა დაბეგვრის რეჟიმები კომპანიას?

პასუხი:

გამოსყიდვის პირობის არსებობის შემთხვევაში სალიზინგო საქონელი მიწოდებულად ითვლება მისი ფაქტობრივის გადაცემის (ანუ ლიზინგით გაცემის) მომენტში და ამავე მომენტში დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. ამასთან, დასაბეგრ თანხაში არ შევა სალიზინგო ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებელი, აგრეთვე, ჯარიმებისა თუ პირგასამტეხლოების თანხები. რაც შეეხება ქონების ლიზინგით გაცემას გამოსყიდვის პირობის გარეშე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული ხელშეკრულების შესწავლა, რათა სრულად გამოირიცხოს ასეთი ხელშეკრულებით გადაცემული ქონების დაბეგვრა, ზემოთ ხსენებული წესის შესაბამისად.

კითხვა:

მოხდა პროდუქციის უკან დაბრუნება, რომელიც მიწოდებისას განერილი იყო სხვადასხვა ზედნადებით ხოლო უკან დაბრუნება დანერილია ერთ ზედნადებად. გვავინტერესებს, როგორ უნდა მოხდეს ფაქტურაზე უკან დაბრუნების ზედნადების მიბმა ასეთ შემთხვევაში?

პასუხი:

კანონმდებლობით ამგვარი მოქმედება (ერთი ზედნადებით დაბრუნება) აკრძალული არ არის. ეს წმინდად ტექნიკური საკითხია და უნდა მოიქცეთ ისე, რის შესაძლებლობასაც იძლევა შემოსავლების სამსახურის პორტალი.

კითხვა:

გავიარეთ კამერალური შემოწმება (დასრულებულია და ვასაჩივრებთ) 2018 წლიდან 2021 წლის 25 იანვრის ჩათვლით. გვავინტერესებს: თუ გვაქვს 2021 წლის იანვრის დეკლარაციის დაზუსტების უფლება, რადგან დეკლარირების პერიოდი მოცულია სარევიზიო შემოწმების პერიოდში?

პასუხი:

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო პერიოდში იანვრის თვის დღეები ექცევა, უნდა დაზუსტდეს, მოხდა თუ არა შემოწმებლების მიერ 2021 წლის იანვრის თვის სრულად შემოწმება (ხშირად, როდესაც თვე შემოწმების პერიოდში მოხვედრილია არასწორად, როგორც წესი, ეს თვე არ მოწმდება) და შესაბამისი გადასახადების დარიცხვა/შემცირება. აქედან გამომდინარე, თუ თვე შემოწმებული არ არის, რა თქმა უნდა, დეკლარაციის დაზუსტება მოხდება ყოველგვარი დამატებითი შესწავლის გარეშე. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც თვე უკვე შემოწმებულია, დაზუსტების უფლება გაქვთ, ოღონდ საგადასახადო ორგანოს ასევე უჩნდება უფლება, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ხელახლა შეამოწმოს შესწორებული პერიოდის დეკლარაცია.

კითხვა:

წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით გვაქვს კითხვა, კერძოდ: ვენევით ალკო-ჰოლიანი სასმელების იმპორტს საქართველოში. კომპანიას სტუმრის რანგში ეწვია დელეგაცია და ჩვენი პროდუქციის რამოდენიმე ბოთლი ვაჩუქეთ. გვინდა ეს პროდუქცია გავატაროთ წარმომადგენლობით ხარჯად და გვავინტერესებს, საგადასახადო კუთხით, რეალიზაცია ვაჩვენოთ, თუ პირდაპირ ეს პროდუქცია წავიღოთ წარმომადგენლობით ხარჯად და მოგების გადასახადში ავსახოთ?

პასუხი:

თუ ზოგადად, ეს პროდუქცია ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, მაშინ იგი დღგ-ით ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დაიბეგრება. რაც შეეხება მოგების გადასახადს, თუ ამ პროდუქციის ღირებულება სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის დადგენილ ნორმებს, მაშინ დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ ამ ნორმებზე აღმატებული თანხა.

კითხვა:

არასამეწარმეო არაკომერციული პირი, საქართველოში მომსახურების ანაზღაურების მიზნით, თანხას ურიცხავს დოლარში. მაინტერესებს, საშემოსავლო გადასახადის თანხა რომ გამოვთვალო, ეს მთლიანი თანხა ლარში უნდა გადავიყვანო დარიცხვის დღეს არსებული კურსით თუ ჩარიცხვის დღის კურსებით გადავრიცხო დოლარის შესაბამისი თანხები. კურსთა შორის სხვაობა რამე ვალს ხომ არ დატოვებს და რა რეაგირება ექნება საგადასახადოს ასეთ ოპერაციაზე?

პასუხი:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია ლარში აღირიცხება იმ დღის ოფიციალური კურსით, რა დღესაც განხორციელდა ეს ოპერაცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოპერაციის განხორციელების მომენტად ჩაითვლება თანხის გადარიცხვის მომენტ(ებ)ი.

კითხვა:

როგორ იბეგრება არარეზიდენტი დამფუძნებლის ჩამოსვლისას მისთვის ანაზღაურებული ბილეთის და სასტუმროს ხარჯები, ასევე საჩუქრები და სხვა პროტოკოლის პროცედურებით განსაზღვრული დანახარჯები?

პასუხი:

თუ არარეზიდენტი დამფუძნებელი იმავდროულად საწარმოს დაქირავებული პირია, მას შეიძლება აუნაზღაურდეს საქართველოში მივლინებასთან დაკავშირებული დანახარჯები (თუ ეს მივლინება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული). სხვა შემთხვევაში ამ ხარჯების ანაზღაურების თანხა შეიძლება დაექვემდებაროს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას (თუ საშემოსავლოთი არ დაიბეგრება, შესაძლოა დაიბეგროს მოგების გადასახადით, როგორც არაეკონომიკური ხარჯი), ხოლო სხვა დეტალების გამოვლენის შემთხვევაში (თუ იმავდროულად დადგინდება მომსახურების გაწევის ფაქტიც) - უკუდაბეგვრის დღგ-ითაც.

კითხვა:

ქვეყნის გარეთ მივლინება გვაქვს, ვიცი ტარიფები, მაგრამ პირდაპირი რეისით არ მიფრინავს თანამშრომელი. რეგულაციები რომ დაგვეცვა და 120 საათში ჩატეულიყო ჯერ მიფრინავს ბუდაპეშტში, მეორე დღეს - მილანში (საქმე აქაც აქვს), ხოლო ბოლოს - მექსიკაში. ანაზღაურდება თუ არა სამივე ფრენის და სასტუმროს საფასური (სრული და არასრული დღეები) თუ მხოლოდ მექსიკის?

პასუხი:

თუ ეს დანახარჯები საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, მაშინ ისინი ანაზღაურდება სრულად - დადგენილი ნორმების ფარგლებში. ნორმის ზევით განეული ხარჯები ჩაითვლება მივლინებული პირის ხელფასად და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

კითხვა:

საქართველოში რეგისტრირებულ ორ კომპანიას ჰყავს ერთი და იგივე დამფუძნებელი. დამფუძნებელ ფიზიკურ პირს სურს ერთი შპს-დან გაიტანოს მოძრავი ქონება, როგორც კაპიტალის შემცირება და შეიტანოს მეორე შპს-ში, კაპიტალის გაზრდის მიზნით. გვანტერესებს, დღგ-ის მიზნებისთვის ხომ არ ჩაითვლება მინოდებად და იბეგრება თუ არა ეს ოპერაცია?

პასუხი:

1. კაპიტალის შემცირების გზით საწარმოდან ქონების გატანა ითვლება ამ ქონების მინოდებად, რაც იბეგრება დღგ-ით საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, თუ ამ ქონების მინოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისგან. ასევე ქონების ისეთი გატანა, რაც აღემატება კაპიტალში დამფუძნებლის შემონატანს, იბეგრება მოგების გადასახადით.
2. საწარმოს კაპიტალში ქონების შეტანა არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად. ამასთან, თუ ამ ქონების (გარდა ფულისა) შემტანი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირია, საწარმო ვალდებულია, ქონების მიღებიდან 10 დღის ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს საქონლის მინოდების დაწყების მომენტისა) სავალდებულო წესით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. გარდა ამისა, მიმღები საწარმო ითვლება დამფუძნებლის (საწარმოს ან ფიზიკური პირის - ვინც გაზარდა კაპიტალი) უფლებამონაცვლედ და მასზე გადადის დამფუძნებლის დღგ-ის ჩათვლასთან დაკავშირებული უფლება/მოვალეობები.

კითხვა:

საქართველოს საწარმოს შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში ემსახურება უკრაინის რეზიდენტი ფიზიკური პირი (მომსახურების განწევა ხდება დისტანციურად). შრომითი ხელშეკრულებაში მოცემულია შემდეგი პირობები: მოსამსახურის თანამდებობაა - გაყიდვების მენეჯერი უკრაინის ტერიტორიაზე; მომსახურების განწევის ადგილი: უკრაინის ტერიტორია (დაქირავებული წარმოადგენს უკრაინის რეზიდენტს).

გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება ხელფასის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომ შრომითი ხელშეკრულების თანახმად გაცემული თანხები დასაბეგრი იქნება საშემოსავლო გადასახადით თუ არა?

ასევე, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის შემოსავლებსა და ქონებაზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ მე-15 მუხლთან დაკავშირებით. კერძოდ, მეთხუთმეტე მუხლი მოიცავს თუ არა მე-16, მე-18 და მე-19 მუხლებისგან განსხვავებულ შრომით ხელშეკრულებებს. ასევე, ზემოთ ხსენებული შრომითი ხელშეკრულებით საქართველოს საწარმო ვალდებულია თუ არა მოახდინოს წყაროსთან გადასახადის დაკავება?

(სსკ-ის 101-ე მუხლის შესაბამისად „ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან“.

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალეუა საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ: ა) პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს, გარდა ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს რეზიდენტი დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა.“

სსკ-ის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

„არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დანესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვეითების გარეშე, შემდეგი განაკვეთებით:

ვ) ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი - ამ კოდექსის 81-ე მუხლით განსაზღვრული განაკვეთით.“)

პასუხი:

1. შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული არარეზიდენტის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადის სტანდარტული (20 %) განაკვეთით. როგორც აღინიშნა, სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით არარეზიდენტისათვის გადახდილი თანხების იბეგრება გადახდის წყაროსთან იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი ჩაითვალა საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად, რაც ვრცელდება არარეზიდენტი ფიზიკური პირისთვის გადახდილი ხელფასის შემთხვევაზეც. სსკ-ის 104-ე მუხლის მიხედვით საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად ითვლება საქართველოში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი, რაც ზოგადად გულისხმობს საქართველოში დაქირავებით მუშაობის შემთხვევას. გამომდინარე იქიდან, რომ როგორც თქვენი კითხვიდან იკითხება, ფიზიკური პირი სამუშაოს შესრულებისას ფაქტობრივად არ იმყოფება საქართველოში, აღნიშნული შემოსავალი არ განიხილება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულად და საგადასახადო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე არ დაიბეგრება გადახდის წყაროსთან. გარდა ამისა პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, რა დროსაც კომპანიას დაარიცხეს ასეთი არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის გადახდილ თანხაზე საშემოსავლო გადასახადი (რაც მიაწინებს იმაზე, რომ ეს საკითხი საგადასახადო შემოწმების პროცესში შესაძლოა სადაო გახდეს). თუმცა, ამავე კომპანიების მიერ აღნიშნული საკითხის გასაჩივრების შემდეგ შემოსავლების სამსახურის მიერ (ან დავებს საბჭოს მიერ) მოხდა შემოწმებისას დარიცხული თანხების შემცირება.
2. თქვენ მიერ ხსენებული საერთაშორისო შეთანხმების მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „წინამდებარე შეთანხმების მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებების გათვალისწინებით, ერთი მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებული შრომითი მიღებული ჯამაგირი, ხელფასი და სხვა მსგავსი ანაზღაურებანი დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დაქირავებული შრომა ან (სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს „არ“, ვინაიდან „ან“ სრულიად ამოვარდნილია კონტექსტიდან) ხორციელდება მეორე მონაწილე სახელმწიფოში. თუ დაქირავებული შრომა ხორციელდება ამ სახით, მაშინ ასეთი გზით მიღებული ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ხელმომწერ სახელმწიფოში“. აქედან გამომდინარე, თუ შრომითი ურთიერთობა ხორციელდება მხოლოდ უკრაინაში, ეს ხელფასი უნდა დაიბეგროს უკრაინაშივე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაქირავებული პირი არის საქართველოს რეზიდენტი სანარმოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი - იხ. მუხლი 16), თუმცა, ვფიქრობთ, საჭირო გახდება იმის დასაბუთება, რომ ეს ურთიერთობები მხოლოდ უკრაინაში ხორციელდება სრულად და არა სხვაგან - საქართველოში ან საზღვარგარეთ.

ამ მუხლის მეორე ნაწილი ეხება შემთხვევებს, როცა თანხები საქართველოდან არის გადახდილი, მაგრამ სხვა არარეზიდენტის სახელით.

რაც შეეხება მე-18 და მე-19 მუხლებს, ისინი ეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილ თანხებსა და პენსიებს.

ინფორმაცია გირჩევიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2021 წლის ნოემბერში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიშური კრონა	ევრო	ფუნტი სტირლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური ზლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.11.21	1,8838	4,9506	3,6828	4,3594	2,4585	3,1328	3,7806	7,9782	7,4411	1,0204	3,7054	3,4692	1,4347	3,1601
02.11.21	1,8737	4,9275	3,6659	4,3231	2,4439	3,1178	3,7545	7,9288	7,4073	1,0178	3,6945	3,4630	1,4325	3,1690
03.11.21	1,8784	4,9386	3,6740	4,3174	2,4366	3,1258	3,7447	7,9691	7,4231	1,0204	3,7103	3,4704	1,4378	3,1678
04.11.21	1,8712	4,9192	3,6597	4,3016	2,4332	3,1144	3,7150	7,9609	7,3938	1,0190	3,6921	3,4665	1,4316	3,1576
05.11.21	1,8687	4,9094	3,6512	4,3113	2,4311	3,1071	3,7012	7,9339	7,3777	1,0134	3,6880	3,4622	1,4305	3,1631
06.11.21	1,8688	4,9059	3,6490	4,2488	2,4289	3,1040	3,6844	7,9203	7,3730	1,0137	3,6812	3,4523	1,4389	3,1637
07.11.21	1,8688	4,9059	3,6490	4,2488	2,4289	3,1040	3,6844	7,9203	7,3730	1,0137	3,6812	3,4523	1,4389	3,1637
08.11.21	1,8688	4,9059	3,6490	4,2488	2,4289	3,1040	3,6844	7,9203	7,3730	1,0137	3,6812	3,4523	1,4389	3,1637
09.11.21	1,8701	4,9186	3,6583	4,2674	2,4325	3,1107	3,7019	7,9582	7,3926	1,0170	3,6745	3,4571	1,4491	3,1622
10.11.21	1,8709	4,9201	3,6597	4,2918	2,4300	3,1120	3,7189	7,9693	7,3959	1,0112	3,6902	3,4583	1,4533	3,1571
11.11.21	1,8666	4,9074	3,6500	4,2663	2,4269	3,1039	3,6962	7,9361	7,3735	1,0095	3,6664	3,4561	1,4485	3,1523
12.11.21	1,8465	4,8539	3,6099	4,2158	2,4009	3,0717	3,6247	7,7891	7,2945	0,9880	3,6130	3,4219	1,4281	3,1492
13.11.21	1,8421	4,8466	3,6044	4,2182	2,3965	3,0649	3,6278	7,7592	7,2850	0,9840	3,6016	3,4131	1,4270	3,1493
14.11.21	1,8421	4,8466	3,6044	4,2182	2,3965	3,0649	3,6278	7,7592	7,2850	0,9840	3,6016	3,4131	1,4270	3,1493
15.11.21	1,8421	4,8466	3,6044	4,2182	2,3965	3,0649	3,6278	7,7592	7,2850	0,9840	3,6016	3,4131	1,4270	3,1493
16.11.21	1,8481	4,8580	3,6131	4,2334	2,4023	3,0728	3,6498	7,7965	7,3007	0,9859	3,6062	3,4301	1,4313	3,1550
17.11.21	1,8291	4,8087	3,5762	4,2359	2,3801	3,0419	3,6155	7,6621	7,2262	0,9786	3,5623	3,3928	1,4190	3,1489
18.11.21	1,8181	4,7819	3,5562	4,2230	2,3739	3,0242	3,5945	7,6313	7,1847	0,9751	3,5501	3,3779	1,4103	3,1435
19.11.21	1,8140	4,7719	3,5485	4,2234	2,3848	3,0185	3,5776	7,6202	7,1704	0,9748	3,5289	3,3768	1,4071	3,1303
20.11.21	1,7987	4,7293	3,5169	4,1769	2,3790	2,9911	3,4978	7,5058	7,1057	0,9602	3,4800	3,3574	1,3849	3,1120
21.11.21	1,7987	4,7293	3,5169	4,1769	2,3790	2,9911	3,4978	7,5058	7,1057	0,9602	3,4800	3,3574	1,3849	3,1120
22.11.21	1,7987	4,7293	3,5169	4,1769	2,3790	2,9911	3,4978	7,5058	7,1057	0,9602	3,4800	3,3574	1,3849	3,1120
23.11.21	1,7966	4,7245	3,5135	4,1841	2,3774	2,9886	3,4907	7,4512	7,0988	0,9529	3,4697	3,3524	1,3817	3,1134
24.11.21	1,7966	4,7245	3,5135	4,1841	2,3774	2,9886	3,4907	7,4512	7,0988	0,9529	3,4697	3,3524	1,3817	3,1134
25.11.21	1,7867	4,6976	3,4935	4,1627	2,3700	2,9709	3,4906	7,4740	7,0579	0,9497	3,4268	3,3287	1,3701	3,1153
26.11.21	1,7856	4,6970	3,4927	4,1470	2,3726	2,9706	3,4730	7,4835	7,0566	0,9519	3,4278	3,3357	1,3716	3,1129
27.11.21	1,7853	4,6972	3,4931	4,1233	2,3690	2,9707	3,4258	7,4361	7,0569	0,9489	3,4072	3,3460	1,3623	3,0967
28.11.21	1,7853	4,6972	3,4931	4,1233	2,3690	2,9707	3,4258	7,4361	7,0569	0,9489	3,4072	3,3460	1,3623	3,0967
29.11.21	1,7853	4,6972	3,4931	4,1233	2,3690	2,9707	3,4258	7,4361	7,0569	0,9489	3,4072	3,3460	1,3623	3,0967
30.11.21	1,7805	4,6860	3,4849	4,1204	2,3706	2,9638	3,3992	7,4178	7,0410	0,9458	3,3799	3,3366	1,3561	3,0867

თარიღი	კანადური დოლარი	ამერიკალური დოლარი	ევროპული გირონგა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგაზრდური დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.11.21	2,5629	2,3830	2,0117	0,3290	2,7784	8,6036	0,7524	10,0219	2,3481	10,4778	4,9403	4,0637	4,2202	2,2677
02.11.21	2,5600	2,3774	2,0174	0,3324	2,7747	8,6278	0,7545	10,1123	2,3481	10,5003	4,9534	4,0720	4,2325	2,2747
03.11.21	2,5526	2,3632	2,0178	0,3324	2,7898	8,6246	0,7542	10,1243	2,3497	10,4998	4,9512	4,0705	4,2415	2,2586
04.11.21	2,5430	2,3505	2,0096	0,3265	2,7732	8,5968	0,7518	10,0705	2,3403	10,4660	4,9373	4,0575	4,2409	2,2555
05.11.21	2,5472	2,3486	2,0146	0,3257	2,7751	8,6118	0,7531	10,1278	2,3403	10,4843	4,9436	4,0642	4,2483	2,2556
06.11.21	2,5354	2,3323	2,0150	0,3258	2,7788	8,6134	0,7533	10,1619	2,3376	10,4828	4,9404	4,0641	4,2491	2,2386
07.11.21	2,5354	2,3323	2,0150	0,3258	2,7788	8,6134	0,7533	10,1619	2,3376	10,4828	4,9404	4,0641	4,2491	2,2386
08.11.21	2,5354	2,3323	2,0150	0,3258	2,7788	8,6134	0,7533	10,1619	2,3376	10,4828	4,9404	4,0641	4,2491	2,2386
09.11.21	2,5403	2,3419	2,0135	0,3254	2,7883	8,6093	0,7529	10,1888	2,3443	10,4813	4,9436	4,0601	4,2719	2,2616
10.11.21	2,5387	2,3435	2,0104	0,3251	2,7981	8,5957	0,7517	10,1822	2,3450	10,4678	4,9400	4,0530	4,2645	2,2595
11.11.21	2,5383	2,3226	2,0021	0,3212	2,7847	8,5824	0,7505	10,1500	2,3388	10,4485	4,9329	4,0469	4,2379	2,2400
12.11.21	2,5073	2,2958	2,0008	0,3166	2,7615	8,5739	0,7498	10,0939	2,3243	10,4209	4,9202	4,0417	4,2261	2,2088
13.11.21	2,5016	2,2980	2,0049	0,3173	2,7616	8,5742	0,7498	10,1189	2,3264	10,4212	4,9350	4,0415	4,2305	2,2086
14.11.21	2,5016	2,2980	2,0049	0,3173	2,7616	8,5742	0,7498	10,1189	2,3264	10,4212	4,9350	4,0415	4,2305	2,2086
15.11.21	2,5016	2,2980	2,0049	0,3173	2,7616	8,5742	0,7498	10,1189	2,3264	10,4212	4,9350	4,0415	4,2305	2,2086
16.11.21	2,5188	2,3237	2,0092	0,3157	2,7705	8,5897	0,7512	10,1640	2,3353	10,4436	4,9413	4,0498	4,2358	2,2296
17.11.21	2,5129	2,3097	2,0056	0,3085	2,7569	8,5731	0,7497	10,1525	2,3251	10,4130	4,9309	4,0433	4,2340	2,2115
18.11.21	2,5006	2,2863	1,9967	0,3001	2,7392	8,5584	0,7485	10,2218	2,3134	10,3883	4,9265	4,0363	4,2325	2,1995
19.11.21	2,4842	2,2801	1,9926	0,2964	2,7418	8,5225	0,7453	10,1623	2,3039	10,3515	4,9037	4,0192	4,2166	2,2065
20.11.21	2,4605	2,2534	1,9822	0,2794	2,7305	8,4726	0,7410	10,0546	2,2859	10,2842	4,8708	3,9938	4,1920	2,1800
21.11.21	2,4605	2,2534	1,9822	0,2794	2,7305	8,4726	0,7410	10,0546	2,2859	10,2842	4,8708	3,9938	4,1920	2,1800
22.11.21	2,4605	2,2534	1,9822	0,2794	2,7305	8,4726	0,7410	10,0546	2,2859	10,2842	4,8708	3,9938	4,1920	2,1800
23.11.21	2,4637	2,2594	1,9768	0,2783	2,7270	8,4764	0,7413	10,0767	2,2857	10,2888	4,8800	3,9958	4,1845	2,1809
24.11.21	2,4637	2,2594	1,9768	0,2783	2,7270	8,4764	0,7413	10,0767	2,2857	10,2888	4,8800	3,9958	4,1845	2,1809
25.11.21	2,4553	2,2477	1,9780	0,2491	2,7075	8,4825	0,7417	9,8423	2,2786	10,2849	4,8768	3,9953	4,1875	2,1514
26.11.21	2,4575	2,2372	1,9815	0,2590	2,6984	8,4751	0,7412	9,8584	2,2762	10,2736	4,8740	3,9921	4,1778	2,1330
27.11.21	2,4267	2,2089	1,9681	0,2555	2,7157	8,4310	0,7373	9,7222	2,2592	10,2303	4,8471	3,9717	4,1361	2,1107
28.11.21	2,4267	2,2089	1,9681	0,2555	2,7157	8,4310	0,7373	9,7222	2,2592	10,2303	4,8471	3,9717	4,1361	2,1107
29.11.21	2,4267	2,2089	1,9681	0,2555	2,7157	8,4310	0,7373	9,7222	2,2592	10,2303	4,8471	3,9717	4,1361	2,1107
30.11.21	2,4227	2,2076	1,9646	0,2441	2,7222	8,4038	0,7349	9,7832	2,2564	10,2006	4,8367	3,9575	4,1105	2,1091

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	გელთრუსული რუბლი	თურქმენული მანათი	ბელარუსული ლარი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგი	ყირგიზული სორი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.11.21	4,4714	1,8603	1,3047	9,0289	1,8094	6,6111	2,8120	0,2959	1,2034	0,7390	3,7285	2,0705	0,5597
02.11.21	4,4718	1,8632	1,2990	9,0543	1,8145	6,6332	2,8197	0,2969	1,2055	0,7410	3,7381	2,0665	0,5622
03.11.21	4,4115	1,8616	1,2904	9,0509	1,8078	6,6368	2,8218	0,2961	1,2049	0,7404	3,7394	2,0493	0,5572
04.11.21	4,3905	1,8595	1,2823	9,0217	1,8031	6,6267	2,8079	0,2947	1,2036	0,7364	3,7254	2,0529	0,5554
05.11.21	4,4140	1,8625	1,2849	9,0374	1,8059	6,6389	2,8100	0,2959	1,2083	0,7362	3,7334	2,0715	0,5695
06.11.21	4,4178	1,8630	1,2867	9,0391	1,8056	6,6562	2,8075	0,2959	1,2119	0,7369	3,7310	2,0725	0,5646
07.11.21	4,4178	1,8630	1,2867	9,0391	1,8056	6,6562	2,8075	0,2959	1,2119	0,7369	3,7310	2,0725	0,5646
08.11.21	4,4178	1,8630	1,2867	9,0391	1,8056	6,6562	2,8075	0,2959	1,2119	0,7369	3,7310	2,0725	0,5646
09.11.21	4,4276	1,8603	1,2916	9,0349	1,8018	6,6420	2,8083	0,2957	1,2125	0,7364	3,7300	2,0987	0,5705
10.11.21	4,4468	1,8572	1,2947	9,0203	1,7971	6,6306	2,8038	0,2953	1,2102	0,7357	3,7263	2,1143	0,5696
11.11.21	4,4539	1,8558	1,2967	9,0066	1,7934	6,6155	2,7958	0,2947	1,2099	0,7351	3,7192	2,0869	0,5747
12.11.21	4,4241	1,8507	1,2943	8,9977	1,7908	6,6193	2,7943	0,2937	1,2069	0,7334	3,7156	2,0513	0,5728
13.11.21	4,3610	1,8508	1,2843	8,9980	1,7861	6,6231	2,7953	0,2937	1,2063	0,7313	3,7204	2,0573	0,5827
14.11.21	4,3610	1,8508	1,2843	8,9980	1,7861	6,6231	2,7953	0,2937	1,2063	0,7313	3,7204	2,0573	0,5827
15.11.21	4,3610	1,8508	1,2843	8,9980	1,7861	6,6231	2,7953	0,2937	1,2063	0,7313	3,7204	2,0573	0,5827
16.11.21	4,3653	1,8554	1,2836	9,0143	1,7898	6,6339	2,8037	0,2938	1,1976	0,7323	3,7220	2,0783	0,5782
17.11.21	4,3306	1,8514	1,2752	8,9969	1,7848	6,6198	2,7948	0,2937	1,1931	0,7314	3,7201	2,0658	0,5771
18.11.21	4,3184	1,8482	1,2633	8,9814	1,7785	6,6032	2,7900	0,2926	1,1852	0,7295	3,7090	2,0236	0,5718
19.11.21	4,2973	1,8422	1,2591	8,9437	1,7698	6,5685	2,7736	0,2909	1,1844	0,7251	3,6937	2,0127	0,5667
20.11.21	4,2404	1,8322	1,2491	8,8914	1,7582	6,5318	2,7573	0,2891	1,1711	0,7225	3,6716	1,9775	0,5591
21.11.21	4,2404	1,8322	1,2491	8,8914	1,7582	6,5318	2,7573	0,2891	1,1711	0,7225	3,6716	1,9775	0,5591
22.11.21	4,2404	1,8322	1,2491	8,8914	1,7582	6,5318	2,7573	0,2891	1,1711	0,7225	3,6716	1,9775	0,5591
23.11.21	4,1938	1,8304	1,2450	8,8954	1,7580	6,5318	2,7666	0,2899	1,1689	0,7177	3,6728	1,9779	0,5550
24.11.21	4,1938	1,8304	1,2450	8,8954	1,7580	6,5318	2,7666	0,2899	1,1689	0,7177	3,6728	1,9779	0,5550
25.11.21	4,1752	1,8307	1,2291	8,9009	1,7553	6,5029	2,7648	0,2896	1,1572	0,7248	3,6758	1,9659	0,5572
26.11.21	4,1732	1,8328	1,2278	8,8940	1,7523	6,4650	2,7639	0,2897	1,1531	0,7241	3,6727	1,9644	0,5557
27.11.21	4,1048	1,8201	1,2082	8,8477	1,7449	6,3875	2,7490	0,2877	1,1428	0,7118	3,6584	1,9104	0,5566
28.11.21	4,1048	1,8201	1,2082	8,8477	1,7449	6,3875	2,7490	0,2877	1,1428	0,7118	3,6584	1,9104	0,5566
29.11.21	4,1048	1,8201	1,2082	8,8477	1,7449	6,3875	2,7490	0,2877	1,1428	0,7118	3,6584	1,9104	0,5566
30.11.21	4,1200	1,8153	1,2088	8,8191	1,7397	6,3578	2,7426	0,2866	1,1372	0,7096	3,6420	1,9142	0,5509

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

